

№ VI

ଓଡ଼ିଆ  
ପ୍ରକାଶନ  
ବ୍ୟାପାର କେନ୍ଦ୍ର



1891

## ს ა რ ჩ ვ 3 0

## ქურთიან «ჯეჯილი»-სა

 გვ.  
 ბეჭ.

I.	დათეი და მელა, ლექსი აგაძისა . . . . .	3
II.	ჩევნი ძეელი გმირები, გ. წერეთლისა . . . . .	6
III.	ღამე, ლექსი მღვიმელისა . . . . .	13
IV.	პატარა რობინზონები, ეჭ. მ—სა . . . . .	17
V.	ოთხი სურათი ლექსი ღ. მაჩხანელისა . . . . .	32
VI.	გაუცინარი ხელმწიფის ზღაპარი, (გაგონილა თ. რაზიკაშვილისა)	35
VII.	ხალხური ლექსი, გუთნის მომართვა . . . . .	42
VIII.	პატარა-პატარა სამეცნიერო წერილები, წერილი IX, ილიჭვისა..	44
IX.	სამყარო, ერ. ბაქრაძესი . . . . .	47
X.	ჰერაკლი, აღ. ჭილინაძესი . . . . .	63
XI.	უდროება ტრაბახობა, ა. თ.-წ—სა. . . . .	66
XII.	მაიმუნის სამართალი, იგავი, ა. თ.-წ—სა. . . . .	73
XIII.	ანდაზები, გამოცანები, სამათემატიკო გამოცანები, ჩქარა— გამოსათქმელი, ანაგრამა, შარადა და რებუსი . . . . .	74



# ខេត្តបាល

៦១២៩១៧៣០៩ ៦៧៦១៣៩៨០១៦០

សូន្ទនាល់

ឯធម្មារ, មិថ្នាំ ខែកុល,  
សាធារណ៍, ហាន់សារ!...

— ៥ —

Nº VI

វាង និង អភិវឌ្ឍ

—♦—

៩ ៣ ០ ៤ ០ ៦ ០

សាកលវិទ្យាល័យ ន. ៩. នគរបាល ភ្នំពេញ. ៩២៨១ ខែ កុល, ឆ្នាំ ២០១៨.  
1891



*Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Октября, 1891 года.*

*Типографія Я. А. Мансветова, Лорисъ-Меликъ ул., д. Мдиванъ.*

დათვი და მეღა

(მონადირის ნაამბობი)

3200



იდა დათვია დათუნასა,  
პირ-მყრალსა და მტორიანსა,  
უკუდოსა, ბანჯგველიანსა,  
უზარ-მაზარ მძორიანსა,

სადათეეთში გალალებულს,  
ნადირობა გაეძრახა,—  
შემდგარიყო მალლა სერჩე  
და დაელო ცუდათ ხარხა.

იქაურმა ნადირებმა  
ეს მხეცი რომ დაინახეს:—  
გაუმარჯოს ბატონ დათვიო!  
უნებურად დაიძახეს;

მიაშურეს სათაყეანოდ,  
მოწიწებით ფეხს ჰელიდნენ,  
ერთმანეთის დაბეჭდებით  
და განწირეთ თავს იხსნიდნენ.



ეს იმათი მორჩილება  
დათუნამ რომ დაინახა,  
შეიფერა, გაიბერა,  
უფრო დიდათ აღო ხარხა.

ერთი კიდეც დაიბლავლა,—  
ბანს აძლევდა მთა და ბარი,  
და პირუტყვებს მითი წელში  
გაუყენა შიშის ქარი.

სასიკედილოდ დაემზადნენ  
პირუტყვები მაშინ ყველა;  
მარტო, მხოლოდ გულს არ იტეხს  
გატყაული კუდა-მელა.

გაიპარა, გაცუნცულდა,  
გადაეიდა სერს გადაღმა,  
იქ უეცრად ყური მოჰკრა,  
რომ დაჰყეფა საღლაც ძალმა.

მიიხედა, დაინახა  
მონადირე მომავალი,  
მეძებრები მოჰყეფავდნენ,  
ამოელოთ კურდლლის კუალი.

ეს რომ ნახა, გაიხარა,  
თითქოს ჰქონდა რამ განძრახეა,  
უცფად მაღლა ქვაზედ შეხტა,  
ძალლებს თაეი დაანახეა.

მონადირემც თვალი მოჰკრა,  
სიხარულით მიაშურა,  
მაგრამ ჩეენი მელა-კუდა  
თვალსა და ხელს შეა გაძერა.

ମନ୍ଦିରରେ ଗୁଣି ଲାଭ୍ୟଦା,  
ସାକ୍ଷେତ୍କରଣ ଲାଭ୍ୟଦା,  
କାଳିଙ୍ଗର ତାଙ୍କ ମନୁଷ୍ୟରୁ,  
ମେଲାମ କ୍ରାନ୍ତିଶି ହାତୁଧରନା.

ମାଗରାମ ମେଲାମ କ୍ରାନ୍ତିକାନାମ  
ଲାତ୍ରୀଶାକ୍ରନ୍ତ ମିଶ୍ରରୁ,  
ମନ୍ଦିରରେ କ୍ରାନ୍ତିଶି ଲେଖଦା,  
ଦେବରୀର ଅଭିନନ୍ଦ ମନୋଭୂରା.

ମୃଦ୍ଦେଶ୍ଵରୀପ ଲାଜାନ୍ତର୍କଣ୍ଠ,  
ଗାମ୍ଭୀରାଙ୍ଗରେ ମାତ ଗ୍ରହିଲାମ ହନା,  
ଲା ଶକ୍ତିରେ କି ମନ୍ଦିରରେ  
ମେଲାମ ଲାତ୍ରୀଶି ମିଶ୍ରନା.

ଲାତ୍ରୀ ଲାଭ୍ୟତକା, ହାତୁଧରଦା,  
ଗୁଣ-ମନ୍ଦିରିଲମା ଲାଭ୍ୟକରୁ;  
ମାଗରାମ ମନ୍ଦିରରେମ ତାତ୍ପରୀ  
ମନମାରତା ଲା ମିଶ୍ରରୁ.

ଗାନ୍ଧିଶରୀରିଲା ଅମନିଶ୍ଚନିତ,  
ଶୁଦ୍ଧିଶି ତ୍ରୁପ୍ତିର ମିଶ୍ରଦା,—  
ଦିନିର ଲାଭ୍ୟର ଲାଭ୍ୟର,  
ଅସ୍ତ୍ରପିତରଦା ମାଶିନ ଲେଲା.

ଲାଭ୍ୟରେ ତାତ୍ପରୀମାରତିଶି  
କୁତୁରୀରାଲା, କୁତୁରୀରାଲା....  
ତୁମ୍ଭରମ୍ଭ ତୁମ୍ଭରମ୍ଭ ପୁନର୍ଭାଲା  
ଶ୍ରେଷ୍ଠଶ୍ରେଷ୍ଠର ଲେଲା.

## ჩვენი მგელი გმირები



აისას დიღა იყო. სამეფო პალატნი სამთავროს მახლობლად გაბრწყინდენ ამომავალის მზის სხივებითა. წიწამურის სერებზე დიდებულს მოოქრულს არმაზს ამოღებული მახეილი ეჭირა და ზედ აღმასის შუქი დაკრთოდა. ის იდგა მკლავებამართული, თითქოს ჰსურს ჩაბნელებულს არაგეის ხეობას დაჰკრას ელევარე მახეილი და გაჰფანტოს წყეული არიმანის ჯარები მზის შუქის შემწეობითა.

— ოჯ, დიდებულო, არმაზ, შენ მოგვიელინე ნათელი, რომ ეიხსნათ თავი სამწუხარო ღამის ტყვეობისაგან, მოგვეც მხიარულება და მოგვაშორე თავიდან ბნელების ავი სულები, გამოაბრწყინე ნათელი და გაჰფანტე არიმანის მიერ მოვლენილი ავი სულებიო. — ლოცულობდა ხალხი თავის სახლების შექვითკრულს ბანებზე.

მზეს უკვე მოეცელო მშენიერი მტკურის და არაგეის ჭალები, ცისარტყელასაეთ აეპრიალებინა, აენთო დანამული მთა და ბარი.

— სად ან როდის იყო ეს ამბავიო? — იკითხევნ პაწია მკითხველები. — ეს ამბავი სულ ძველად იყო, როდესაც მცხეთა ითელებოდა პირველ დიდებულ ქალაქად არამც თუ საქართველოში, მთელს აღმოსავლეთის ქვეყნებშიაცა, როცა ტფილისი ჯერ კიდევ არაენ იცოდა და ჯერ მისი ხსენებაც არ იყო ქვეყანაზე, როცა დღევანდელ ქალაქის მაგიერად უდაბური ტყვები იყო და იქ კაცების მაგიერად დადიოდენ მგლები, დათევები, აეი კლანჭიანი აფთარი და ვეფხი, რქა-ბორჯლალა ირმები, ლამაზ თვალებიანი შელები, მარდი ყელ-მოღერებული ჯეირნები, გარეული ფრინვლები: კაკაბი, თურაჯი და



შევარდნი. ამპარტავანი არწივი შექხაროდა ამ საკლავის სიმღიდრეს და ბუდეს იკეთებდა იქ, საცა დღეს წმინდა დაეითის ეკკლესია მე-არცხლის ბუდესავით არის მიშენებული ფრიალი კლდეზე.

იმ დროს საქართველოს ხალხი ქრისტე-ღმერთის მაგიერად თა-ყვანს სცემდა მზეს, მთვარეს და გარსკელავებს, ეშინოდა ღამის სი-ბნელისა, რაღაც ჰელიქრობდა, რომ ღამე იყო აესულების ღმერთი — სახელად არიმანი. ქართველებს სწამდათ, რომ რაკი დაღამდებო-და, წყეული არიმანი, ღმერთი ბნელეთისა, ავსებდა კაცის მჭამელ დევებით, კუდიანებით, ჭინკებით, პაწია ალებით და რქან ეშმაკე-ბით ქვეყნას, რომ შეეწუხებინა კაცის სული. ამიტომაც მაშინ-დელს ჩვენს მამა-პაპებს ეშინოდათ ღამის, სიბნელის და თაყვანს სცემდენ სინათლეს, რომელიც გაფანტუედა ბნელს ღამეს და მოა-სენებდა ბნელისაგან შეშინებულს ჩვენი მამა-პაპის გონებას. ამ სი-ნათლის წარმომადგენლათ ჩვენს ძეელს ქართველებსა დაესახათ მზე, მთვარე და გარსკელავები. ისინი ეგონათ წმიდა სულები, ნათელი, ხორც-შესხმულები, კაცის სახიანი. ამიტომაც იმათს სურათებს აკე-თებდენ სპილოს ძელისას, ოქრო და ვერცხლისას, შეამკობდენ ძეირფასი თელებით, როგორც შემჯულია დღეს ჩვენი ძეელი წმიდა ხატები.

ერთი ამისთანა სურათი სპილოს ძელითა, ოქროთი და ვერ-ცხლით გაკეთებული, კაცზე უდიდესი და უმაღლესი, იყო ამართუ-ლი იმ სერჩე, საცა დღეს ძეელი ეკკლესია მოსჩანს, არაგვს გაღმა, მცხეთის პირ-და-პირ. ეს ძეირფასი სურათი დადგმული იყო მარმა-რილოს საფეხურზე, ხელ-გაწედილი და ხმალ-ამოღებული.

ამ ხატს, ანუ სურათს ჩვენი მამა-პაპები ეძახდენ სახელად არ მაჲსა — ნათლის ღმერთსა — და ეგონათ, რომ ის იყო მზის სუ-რათი, რომელსაც თაყვანსა სცემდენ და მისგან ელოდენ შემწეობას. მართლაც დილით, როცა პირველი მზის შუქი ამ არმაზის სურათს დაჰკრაედა, ისე გაბრწყინდებოდა, როგორც თვითონ მზე; ხალხიც იმ დროს გამოედოდა მცხეთაში თავის სახლის ბანებზე და ეველრებოდა მეტანითა (მუხლ-მოყრით) არმაზ-ღმერთსა, რომელსაც დილის სი-

ნათლით გაეფანტა სიბნელე და გაერეყა აერ მაცლური სუ-  
ლები.

აი ეს დრო იყო, ჩოტა ერთს მარმარილოს დარბაზში დიდე-  
ბულსა და ყველაზე უფრო ლამაზს მცხეთის ქალაქში ბატონის  
რძალი სანადიროდ აწყობდა თავის ერთად-ერთს ვაჭა, ქართველე-  
ბის იმედსა. ბატონის რძალი დაქრივებულიყო ალექსანდრე მაკე-  
დონელის შემოსვევის დროს, ჩოტა მცხეთის ბატონს, დიდს მამა-  
სახლისს, მთელი საქართველოს ჯარი გამოიყენა ალექსანდრე მა-  
კედონელის წინააღმდეგ. თურმე მაშინ მცხეთის ბატონმა დიდი გმი-  
რობა გამოიჩინა. მტერს შეაკვდა და ქართველები იხსნა მონაობი-  
საგან. ამის გამო მცხეთის ბატონი ძალიან შეუყვარდათ ქართვე-  
ლებსა. იმ დროს ბატონის რძალი ოკის წლისა თუ იყო და მისი  
შეილი ფარნაოზი, ორის წლისა, ჯერ კიდევ ძუძუსა სწოდდა. რაკი  
ქმარი მოუკლეს, ბატონის რძალი გადინიშნა მთიულეთში. მთიუ-  
ლებშა შეინახეს ქვრივი დედოფალი და პაწია ტახტის შემკვიდრე.  
ისინი არაფერს იშურავდენ მათთვის. მას და დედოფალს ბევრი  
მტრები აღმოუჩნდენ თვით მახლობელ ნათესაობაშიაც.

მცხეთის სამეუფო ტახტი და დიდი მამასახლისობა ხელში ჩა-  
იგდო ფარნაოზის ბიძაშეილმა აზომ, რომელმაც პატივის მოყვარე-  
ობის გულისთვის ქვეყნის მტერთან, ალექსანდრე მაკედონელთან,  
საიდუმლო მოლაპარაკება გამართა: უკეთუ შენ შემეწევი და ჯარს  
მომახმარ, რომ მცხეთის ბატონის ტახტი მე დამრჩესო, ჩემს მომხრე  
ჯარს შენსკენ გადმოიყეან და მცხეთის ბატონს ვულალატებო.

ალექსანდრე მაკედონელს იამა ამ გვარი ერთგულება აზოსი, რომელმაც ჯერ თავის ბიძა, დიდი მცხეთის მამასახლისი და ქართველების ბატონი და შემდევ თავისი ქვეყანა გასცა. დამარცხდა მცხეთის მამასახლისი, იგი მოჰკლეს ომში და მცხეთის ტახტი აზოს დარჩა. ალექსანდრე მაკედონელმა კარგად იყოდა, რომ ქართველებს არ მოეწონებოდათ ამ გვარი მუხანათობა და კიდევ დასჯიდენ აზოსა. ამისთვის იმან მისცა მას მაკედონიის ჯარი და უთხრა: ვინც გიშინამღმდევოს, მოჰკლიო. ბატონის რძალმა ამიტომაც



მოარიდა თაეის ძუძუ-მწოდარი შვილი და გადიხიზნა მთიულეთში.

მას აქედ გავიდა თექვსმეტი წელიწადი, ფარნაოზი დავაჭკაცდა. ის იყო ნამდეილი გმირის მოყვანილობისა. მის შშვენიერს სახეს და ტანადობას ეინც შეჰქედავდა, ყველას თეალი რჩებოდა ზედ. ქართველებსაც ძლიერ უყვარდათ იგი. ამ თექვსმეტის წლის განპავლობაში ალექსანდრე მაკედონელის მიერ გამეფებული აზო ძალიან მობრძოდათ ქართველებს. იმან თან-და-თან უფრო-და-უფრო დაუწყო შევიწროება ქართველებსა. იგი უცხო ქვეყნის ჯარებს გაუსვედა ხოლმე ხოლმებსა. რომელი დიდებულიც არ მოეწონებოდა, იმას აიკლებდა და გაანადგურებდა. მაკედონელები ჩაესეოდნენ ქართველებს სოფლებში, ზოგს კირნაზულს ართმევდნ, ზოგს პირუტყეს, საქონელს, ზოგს თეთრსა, ზოგს ცხერის ფარებსა, ზოგს ახალგაზდა ქალებსა და ზოგს ოჯახსაც გაუჟპატიურებდნ, მამა-კაცებს ქუდს მოხდიდნ და დედა-კაცებს ლენაქსა. ამ ნაირი უსირცხო ქლევისაგან ქართველები მეტად ალელდენ, თეითონ აზოს ეძახდენ ალექსანდრე მაკედონელის უურ-მოჭრილს ყმას და ქვეყნის მტერსა. იმათ ყველას გული ფარნაოზისაკენ ჰქონდათ და ფიქრობდენ, როდის იქმნება, რომ ფარნაოზი დავაჭკაცდეს, მოთავედ გაგვიხდეს, რომ უცხო ქვეყნის ჯარები, აზოს მომხრეები, ესე იგი, აზონაურნი დავითრინოთ ჩვენი ქვეყნიდგან, თეითონ აზო და მისი ჯარი გაესწყვეიტოთ და მცხეთის ტახტი ისევ ბატონის შვეილს ფარნაოზს დავუბრუნოთო.

ამ ფიქრში რომ იყენ ქართველები, აზო, მცხეთის მფლობელი და ქართველების მტარეალი, სულ სხვა ხრიკებს იგონებდა. იმას ფარნაოზისა ძალიან ეშინოდა. იცოდა, რომ ხალხს უყვარდა და მთიულებიც აღმერთებდენ. რაკი დარწმუნდა რომ ძალით ვერ მოიკიდებდა ხელს, ნებით მიჰყვა: დაუწყო ბატონის რძალს საჩუქრების გაგზავნა მთიულეთში და იპატიჟებდა მცხეთას მისი ქმრის დარბაზში საცხოვრებლად: სამეუფო ულუფაც გაუჩინა.

დიდი ხანი არ იყო, რომ ბატონის რძალი თაეის ფარნაოზიანა



მოპრძანებულიყვენ მცხეთას და დამკვიდრებულიყვენ სამეუფო  
მამის დარბაზში. პირველად ისინი ძალიან პატივურებულნი იყვენ  
მცხეთის ბატონის აზოს მიერ, რომელიც გულში თურმე ფიქრობდა  
მის მოკელას და ეძებდა მარჯვე დროს.

ბატონის რძალს ესმოდა ამისთანა ამბები თავის სეფისაგან (ამა-  
ლისაგან) და გაფრთხილებული იყო, რომ შეიღს რაიმე ცუდი არ  
შემთხვეოდა მაკედონელის ჯარისაგან. ამისთვის ის ხშირად ჰგავნიდა  
შეიღს სხვა-და-სხვა ალაგს, თუ სანადიროდ, თუ საწვეულოდ, შინ  
არ აყენებდა.

ერთხელ ფარნაოზმა აიტეხა დიღმის მხარეზე სანადიროდ წასე-  
ლა, რადგან მის სეფეს ექო ეს ალაგები: იქ ველური ტახებისა და  
ირმის ჯოგები არიანო. ბატონის რძალმაც არ დაუშალა და შეა-  
ვედრა არმაზს მისი თავი. დიღლა ადრიანად ფარნაოზი გამოეწყო  
აბჯრითა და ჩამონითა. ხელში აიღო მამის ნაქონი რკინის შეიღლდ-ისარი  
და გაემგზაერა; მონადირე სეფეც თან იახლა. ბევრი იარეს, ბევრი  
ნადირი მოჰკვდეს. ბოლოს ფარნაოზს წამოუჩრა წინ ერთი ხარ-  
ლალი ირემი, რომელიც მეტად დიღი და შშევნიერი მოყვანილო-  
ბისა იყო. ზურგზე გადევფინა დიღი ბორჯლებიანი რქები ოცდა  
ოთხი ნაყარი ტოტითა. ფარნაოზი გამოუდგა ირემს ფეხ-და-ფეხ.  
ირემმა მიაშურა დიღმის კლდეებისაკენ. მთელი დღე სდია ფარნაოზ-  
მა ამ ირემსა; მაგრამ მაინც ვერ მისწვდა ისრის სასროლზე. ამასო-  
ბაში მან დაჰკარგა თავისი სეფე, რომელთაგან მჩავალნი აქეთ-იქით  
დადიოდენ. და დაეძებდენ მეფის წულსა; მაგრამ ვეღარც მისი კუ-  
ლი ნახეს, ვერც მის წინ წამომხტარი ირემი.

დალამდა. დალალული სეფის ჯარი დაბრუნდა მცხეთას დალო-  
ნებული. ისინი ხან ფიქრობდნენ, რომ მეფის წული ფარნაოზ მცხე-  
თას წავიდოდათ, ხან იმასაც ფიქრობდნენ, ვაი თუ მცხეთას მისუ-  
ლი არ დაგეიხდეს? მაშინ ამ ბატონის რძალს რაღა უთხრათ, ან  
ქართველებს როგორლა ვეჩვენოთო...

ფარნაოზმა სდია ირემს მთელი დღე. ირემმა განელო დიღმის  
კლდეების სიერწროვე და მიაშურა თრიალეთის მთის კლდე-კარსა.

აი, ამ მთის სიეიწროვეში ფარნაოზმა ქსროლა ნადირს ისარი, რომელმაც გაუხვრიტა ირემს ბეჭი და იქვე დასცა.

ცა მოილრუბლა, დაბნელდა, შეიქმნა ელვა-გრევინგანი. დაჰკრა გრიგოლმა და წევმამ მოხეთქა ღვარით მთა-ბარი. ფარნაოზ მოსტრა სამწვადე ბეჭის ფრთა ნეკნებიანი; წავიდა, მთას შეეფარა, იქ ნახა ქვაბი კლდიანი. ამოილო კვეს-აბცდი, გააჩინა ცეცხლი, გათალა შამფური და დაუფიცხა ცეცხლს ირმის მწვადი ცვრიანი.

ღამე იყო ისეთი ბნელი, რომ კაცი თეალში თითს ვერ მიიტანდა. ცეცხლი გიზგიზებს და ალმა დაიწყო ერთს მხარეს გამოქვაბულში გამოყურთომა. ფარნაოზს გაუკვირდა:—ნეტამც რა უნდა იყოს, კლდის კედელი ასე რომ გამობრწყინვასო. დასდო მწვადი ცეცხლთან და მიეიდა ქვაბის კედელთან სანახავად. იმან შენიშვნა, რომ აქ ქვაბის კედელი გამოშენებული ყოფილიყო ძველის-ძველად და ქვასა და ქვას შეუ სინათლე შედიოდა შიგნით; იქიდან ეს სინათლე ისევ უკან სცემდა, თითქოს იქ ბრჭყვინვარე რამ ნიეთები ყოფილიყოს, იმან გამოანგრია ქვის კედელი და განცვიფრდა. თურმე ის კუთხე ქვაბისა სულ თეალ-მარგალიტით, ოქროთი და ცერტლით იყო გამოტენილი. ფარნაოზმა გადმონგრეული კედელი ისევ აჭერა. შემდეგ მოეიდა, დაჯდა ცეცხლა-პირას, მწვადი შექამა და იქვე ტკბილად მიიძინა...

იმ ღამეს მცხეთას ბატონის რძალს სამეუფო დარბაზში არ დაუძინია, სულ იმის ფიქრში იყო, ვაი თუ ფარნაოზი მხეცებმა დაჰგლიჯესო. მისნი საყვარელნი სეფის წევრნიც სტიროდენ. ფარნაოზის დაკარგვას აჩბაეი შეიტყო აზომ სასახლეში და გაიხარა. მეფის რძალს კი ზეთის ლამპარი არ გაუქრია სპილოს ძელის პარტია არმაზის სურათის წინა, რომელსაც დაჩიქვეით ევედრებოდა, რომ არიმანი და მისი ბნელების აერ სულები შეეკრა და ფარნაოზზე არ მიეშვა საენებლად.

ღამე იყო საშინელი. წამის-წამ მეხის ტეხა და ელვა უფრო-და-უფრო არწმუნებდა ბატონის რძალს, რომ არმაზს გაცხარებული ბრძოლა პქონდა რქიან დევებთან და ღამის აე-სულებთან. იგი

ესროდა მათ ელვის ისრებს და აკავებდა, რომ ფარნაოზის სვე-  
 ბედი დაეფარა. ბატონის რძალი თან-და-თან უმატებდა არმაზის ხა-  
 ტის წინაშე მხურეალე ლოცვასა, ბოლოს მეტის დაღალულობისა-  
 გან მიეთელიმა სპილოს ძელის ტახტზე, რომელზედაც ოქრო-მკე-  
 დით მოქარგული საფენები იყვენ გაშლილი.

გათენდა დილა. მზემ ამოაშუქა და ფარნაოზმაც ამ დროს  
 შეალო ჩუქურთმით ნაკეთები კარები დედის საწოლს ოთახში. იმან  
 თვალი გაახილა და რაკი თავის შეილი, ჭაბუკი გმირი, ისევ უკნებ-  
 ლად დაინახა, წამოეარდა და ჩაჩქან მოსილი შეილი გულში ჩაიკ-  
 რა. ერთხანს მოყვარული დედა და შეილი იყვენ ასე გარინდულნი.  
 შემდევ დედამ შესწირა არმაზს საკმელის კმევით ოქრო-ვერცხლი  
 და თეალ-მარგალიტი. მერე დაჯდა შეილთან ოქროს ტახტზე და  
 გამოჰკითხა წარსული ლამის ამბავი.

გ. წერეთელი.

(შემდევი იქმნება)



## ღ ა მ ე

ამეა. სახლი სიჩუმეს  
მოუცავს თანაბარადა;  
ლამწრისა შექი კედლებზე  
თრთის და ციმციმებს წენარადა.

კოტწიად მორთულ ოთაში  
ტებილად ფშვინავენ ქალები,  
არ სძინავს მხოლოდ პატარას,  
არ უხუჭია თვალები.

გატენილ სათამაშოზე  
გაბუტულ კაჯავრებული  
გორაობს, ძილს არ ჰნებდება  
ბრაზით გულაზუებული.

გვერდს მოსჯდომია ბებია,  
უვავშებს, ულოლიავებს,  
ჭრილება გაკალაზურჩხელას  
და ჩირად ასხმულ ქლიავებს.

მაგრამ არ სდგება პატარა  
 შამუჯურივითა ტრიალებს...  
 და ქარი დაჭრილ მხეცივით  
 გაშმაგებული ღრიალებს.

ადგიძებს ასლად ჩათვლემილ  
 საძილედ არე-მარესა;  
 მიაქვს და მოაქვს ღრუბლები  
 და ნისლით ჭყარავს მთვარესა...

— რად არ ჩერდები, რად სტირი  
 შენ გენაცებლოს ბებია?  
 აბერა ხატი მაცხოვრის  
 მაღლიდამ დაგჩერებია

და ამბობს: — როგორ იქმნება  
 სიფხიზლე ამდენ ხანაო,  
 ქოჩორზედ ხელი გადუსვი,  
 ბებიავ, უთხარ ხანაო».

— ხანინა, წამლად დაგედე,  
 თავს შემოგევლე ჩალეადა,  
 შენ ხათამაშო გაგიტედა,  
 ჩემსე რათა ხარ მწერალადა?

დაიძინები ნუ შვოთავ  
 ნუ კავრობ უბრალოზედა,

ლამაზად გურავს, გაცეია  
და მაძღარი ხარ დროზედა.

ჭოგიერთ ობოლს საჭმელად  
ქატოც არა აქვს ბურადა;  
ნახევრობამდის შიშველი  
გდია ძაღლუმადურადა.

დაჩაგრულს ობლობისაგან,  
მტირალს სხვის ეზოუპარეთა,  
ის უხარიან მარტოება,  
რომ არ ავდებენ გარეთა.

შენ კი დედმამა უოველ ღღე  
გეალერება წებითა,  
გათამამ-განებივრებენ  
და გზრდიან ფუფუნებითა....

დაწენარდი, ნუღარ ისველებ  
თვალებს ცრემლების დენითა,  
შევედრევი ფუფხლას  
შენი ტიტინა ენითა.

ალოცე, ჩემო ნუგემო,  
მოიგონევი მშობლები,  
არ დაივიწეო აგრეთვე  
ლარიბები და ობლები.

რა გაათავა ბებიამ,  
ლოგინში ჩაწეა თბილადა

გადაიწერა ჰირჯვარი  
 და მიღს მიუცა ტკბილადა.

ბავშვს კი საძილედ ფიქრები  
 ადარ აძლევენ ნებასა;  
 ავერებს ობლებს მაცხოვარს  
 და ელის გათენებასა.

შ. მღვიმელი



## ბატარა რობინზონები

**ბ**შენიერი თიბათუის დღე იუო. ერთს დიდს, სინათლიანს და მხიარულს ოთახში რგვალ სტოლს შემოსხდომოდენ საძი ბავშვი და თავიანთ გაგმები თილებს ამზადებდენ.

უფროსი, რეზიკო, რომელიც იუო რვა წლისა, არით მეტიკულ ამოცანას სწერდა. შეათანა, ილიკო, შვიდის წლისა, ლექსი ისეპირებდა და უმცროსი, ბატარა ქალი სონა, სუთის წლისა, გულ-მოდგინედ დედანიდამ ასოებს სატავდა.

ეს სიტყვა «გულ-მოდგინედ», რასაკვირველია, მარტო სიტყვის მასალაა, რადგან ამ ბატარა მოწაფის გულიდამ სშირად საძინელი რხერა ამოისმოდა. გადააგდებდა ხოლმე თავის კალამს და შერით შესცეკროდა მშენიერს დღეს.

— რა დაგემართა, სონა, რას ახრავ? — ჰყითხა უფროსა მა მმამ რეზიკომ, რომელსაც მიეტოვებინა თავისი გაგმები და ეთამაშებოდა საწერელში ჩავარდნილს ბუზს.

— მომწეინდა ოთახში ჯდომა ამ მშენიერ დღემი, — უასუხა მოწეულით სონამ.

— თქ, მართალია, — ამოითხრა ილიკომ.

— მაშ რა სასიამოვნოა! — სთქვა ნაღვლიანნად რეზიკომ, მე მალიან მინდა ეხლა რობინზონი ვიუო!

— ვინ იუო რობინზონი? — ჰყითხა ბატარა ქალმა.



— ოობინზონი იუო ერთი ბაგშვი, ოომელიც მარტო  
და თავისუფლად ცხოვრობდა ერთ უდაბნო კუნძულზე,  
უპასუხა რეზიგომ.

— განა ის გაგეეთილებს არ ამჟადებდა? — ჭყითხა ილიკომ.

— არას დოლს, — უპასუხა მოჭრით რეზიგომ, — იმას იქ  
არც კალამი, არც ქაღალდი და არც მელანი ჭყონდა.

— უჲ, რა ბევრი ეოფილა! — წამოიძახა მსიარულად  
სონამ: — ოოგორ წავიდა ნეტა რობინზონი იმ კუნძულზე, სადა  
არც ქაღალდი, არც მელანი და არც კალამი იუო?

— აი, ოოგორ წავიდა: ერთ დღეს, ოოდესაც დედა მისი  
სხვაგან წავიდა, ის გამოიპარა სახლიდამ და შეიმალა ერთ  
სომალდზე, ოომელიც გზას ადგა წასასვლელად. სომალდი  
დაიღუპა...

— რას ნიშნავს ეგ სიტუა «დაიღუპა?» — გააწევეტინა  
სონამ.

— იმას ნიშნავს, რომ სომალდი დაუტაკა ერთ კლდეს  
და ნაკუწნაკუწად იქცა, ეველანი დაიღუპნენ და დაიხსნენ,  
მარტო ოობინზონი გადარჩა.

— ოოგორ გადარჩა მერე ოობინზონი?

— მან მოსჭიდა სელი ერთს ფიცარს, ოომელიც მი-  
ტიუტივებდა წეაღმი და ამ ფიცრით მივიდა ის ერთ უდა-  
ბურს კუნძულზე.

— მეც მალიან მინდა წავიდე ერთ იმისთანა უდაბნო  
კუნძულზე, — სთქვა სიამოვნებით ილიკომ, — სომალდის და  
ლუპა კი არ მინდა, მალიან შემეშინდება.

— მეც, — სთქვა სონამ.

— კუნძულზე წასვლა რომ უწელოდ არ შეიძლება? —  
სთქვა რეზიგომ.



— განა არ შეიძლება უდაბურ ტუქმი წასვლა? ეს ერთი  
და იგივე არ იქნება? — ჰყითხა იღიკომ.

— რასაკვირფელია, — უპასუხა რეზიკომ.

— მაგრამ ტუქმი რომ ბევრი მგლებია? — შენიშნა სო-  
ნაძ.

— უვალა ტუქმი კი არ არის; შეიძლება ამოირჩეს იმის-  
თანა ტუქ, საცა მგელი არ არის.

ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. ბუზი კიდევ დაიხსნ  
მელანში; სონამ რამდენიმე საზი ჩამოუსეა, ამიცანა და  
ლექსი კი ჯერ კიდევ არ იუო დასწავლილი.

— დავეჩაროთ, — სთქვა რეზიკომ, — აგრ საცაა დედაც  
მოვა და ეწეინება, რომ გაკვეთილები მზად არა გვაქვს.

სამთავრებ ჩაღუნეს თავები და კალმებმა გულ-მოდგინედ  
დაიწეს წრიბინი.

რამდენსამე წუთს შეძეგ დედა შემოვიდა და თან კალათით  
მოუტანა სამი პატარა საჭაპური.

— აბა, — სთქვა მან, — საუზმის დორა, გაკვეთილები მზა-  
თა გაქვთ? ... არა? ... კარგი, მაშ საუზმეც ჯერ არ გერ-  
გებათ.

უქმაუოვილოდ დაჯდა დედა ფანჯარასთან, ამოიღო  
კალათიდგან სელ-საქმე და დაიწეო მუშაობა, ცალის თვა-  
ლით კი პატარა სარმაცებს უუურებდა.

— დედა, მე გავათავე, — სთქვა რეზიკომ.

— მეც, დედიჯან, — დააუოლა სონაძ.

— მე კი ერთი სიტუაცია დამრჩა დასახელირებელი!  
სთქვა იღიკომ.

დედა წამოდგა, გადაათვალიერა რეზიკოს რვეული, იღი-  
კოს ლექსი ჰყითხა და, ვითომ სონას რვეულში არ შეამჩნია



მელნის წინწკლები, საუზმე დაურიგა და უთხრა ისეთი სიტყვები, რომელსაც ემაწვილები დიდი ხანია ელოდენ.

— წადით ეხლა ბაღში, ითამაშეთ, მაგრამ დობეს კიარ გადასცილდეთ.

— არა, დედილო! — წამოიუვირეს ერთხმად სამთავემ.

რამდენსამე წუთს შემდეგ კიბეზე მოისმა ბავშვების მხიარული ეჭირილი და გრიალი. ამათი სიცილი ბანს აძლევდა ბაღში მოჭიქვის ჩიტებს.

— აფხუს, რომ ეს ბაღი უდაბნო ტუ არ არის, — სთქვა ილიკომ.

— მართლაც, — სთქვა სონამ, — ჩვენც მაშინ რობინზონი ვით დაესახლდებოდით.

— განა ტუ აქედამ შორს არის, რეზიკო? — ჰქითხა ილიკომ.

— მე მგონია, — სთქვა დარწმუნებით რეზიკომ, — კარგად რომ ვიაროთ, საღამომდის კიდეც მიუაღწიეთ...  
სამთავე ბავშვმა ერთმანეთს შეხედეს.

— მერე, დედა რომ მალიან შეწუხდება, — სთქვა სონამ, — იმას არ ეცოდინება, საცა ვიქნებით.

— წერილი მოვწეროთ, — სთქვა რეზიკომ, — რომელსაც სიხარულით თვალები უბრწყინავდა.

— ტუში რომ წერილის ჩასაგდები უუთები არ არის?

— არ არის და ჩიტები ხომ ბევრია. ერთი ჩიტი დავიჭიროთ, ფრთაზე წერილი მოვაბათ და გამოვგზავნოთ დედასთან.

— განა ჩიტი ჩემნის სახლს მოაგნებს და წერილს მოიტანს? — ჰქითხავდა სონა.



— რასაკვირველია, მოაგნებს, — სთქვა რეზიკომ, თან-და-თან უფრო აღტაცებულმა თავის მომავალ მოგზაურობით.

იმან ძალიან კარგად იცოდა, რომ ატეუილებს თავის პატარა დას და მმას, რომ უველა ჩიტს არ შეუძლია წერილის წაფება, და ჩიტმა კითხვა არ იცის, რომ გაიგოს ვის-თანაც არის დაწერილი.

— ჩვენ მოვწეროთ დედას, რომ უდაბურ ტექში ვართ და ბედნიერად ვცხოვრობთ, — სთქვა რეზიკომ, — ეს ანუგაშებს მას. ეხლავე წავიდეთ?

— ეხლავე მაშ! — წამოიძახა შეიარულად ილიკომ. — წა-მოხვალ სონა?

— რასაკვირველია, — სთქვა აღტაცებით ხუთის წლის სონამ, — ჩვენი ბარე?

— არაფერი არ არის საჭირო უდაბნო ტექში, — სთქვა შეთქმულობის მოთავემ, — რობინზონის თან დანის მეტი არაფერი წაუდია. იქ შემა ბევრია, რომ ცეცხლი ავანთოთ, ფოთოლი და ბალახი ბევრია ქვეშ დასაგებად, ხილი საჭმელად, წეალი — სასმელად და ჩიტებს ხომ რამდენს დავხოცავთ და შევწვავთ! ...

— მაშ მე ჩემს შვილდს და ისარს წამოვიდებ, — სთქვა ილიკომ.

— მე ჩემს დანას, — სთქვა რეზიკომ.

— მეც ჩემს კაჭკაჭს წამოვიუვან, — სთქვა სონამ.

— რად გინდა კაჭკაჭი? — უთხრა რეზიკომ.

— მაშ, დედას რომ წერილს გამოვუგზავნით, ვის გა-მოვატანთ? ტეის ჩიტი ხომ ჩვენ სახლს ვერ მოაგნებს?



— მართალს ამბობს, — სთქვა მოთავემ, — რა გეხდება ას, წამოიუვანოს.

— კარგი, — სთქვა მოთავემ: — აბა შალე წადით, აიდეთ უკელაფერი, რაც საჭიროა, ფრთხილათ კი, რომ დედამ არ დაგინახოსთ.

რამდენსამე წუთს შეძლებ ჩვენი სამი ზატარი რობინს ზონი გამოვიდნენ ბაღის კარებიდამ და სირბილით გაუდგნენ გზას. როდესაც კარგად მოშორდნენ და მოუფარნენ თავიანთ სახლს, მაშინ კი ცოტა ფეხს მოუკლეს. სონას ბეჭრი სირბილიც არ შეეძლო, იმის ნორჩი ფეხები ჯერ კიდევ სუსტი იყო, რომ შორი გზის გავლა შესძლებოდა.

— ესლა შეგვიძლიან ნელა წავიდეთ, — სთქვა რეზიკომ, ვეღარავინ დაგვინახავს და ვეღარც დაგვიჭერენ, რადგან სახლიდამ შორისა ვართ.

— განა ისე შორისა ვართ? — სთქვა სონამ შეწუხებულის ხმით.

— რასაკვირველია შორისა ვართ, ერთ ვერსზე მეტი კიდეც გვექნება გამოვლილი, — სთქვა რეზიკომ, რომელიც ცდილობდა უკელაფრის მცოდნეთ ვამოებინა თავი.

— აი ტუქ! — წამოიუვირა ილიკომ.



მართლაც გზის გადასახვევში, მარცხნივ გამოჩნდენ წმინდა სეები. ამ წმაურობაზე მუძამ, რომელიც იქ სამუშაოდ უოფილივო, აიღო მაღლა თავი და ცნობის მოყვარეობით შეხვდა ამ სამს ბავშვს.



— მანდ საით მიდისართ, ჩემო ჰატარებო? — ჰქითსა მან ღიმილით.

— ღვერა ჩვენია იქ და იმასთან მივდივართ, — იცრუა რეზიკომ და ამ სიცრუეზე არც კი გაწითლდა.

— მალიან შორის ნუ წახვალოთ, — დაუმატა მუძამ, — თორებ იქ ბევრი მგელია.

— ვაი, — სთქვა სონამ აკანკალებულის სმით, — მაშ ნუ დარ წავალოთ!...

მაგრამ რეზიკომ მაგრად დაუჭირა სელი თავის დას და ისე წაათრია ტუისაკენ.

— შე სულელოთ, — უთხრა მან, — ვერ სედავ, რომ იმ მუშას ჩვენი შემინება უნდოდა, მგელი როგორ იქნება ტექეში.



— ნადირი რომ იუს შიგ, მაშინ უდაბნოს აღარ დაუძახებენ, — დაუმატა ილიკომ, — გესმის სონა?

— მესმის, მესმის! — უჩასუსა პატარა ქალმა, — მავრამ მაინც, რეზიკო, შორს ნუ წავალთ. ისინი შევიდნენ ერთ ადგილას, რომელიც შემოსლუდული იყო მაღალი ხეებით.

— აგრ მოვადით გიღეც, — სთქვა რეზიკომ. — მშვენიერია, ჩვენ აქ რა კარგად მოვეწეობით, ოთასსა ჰგავს! — იმასდა აღტაცებით რეზიკო.

მართლაც რომ ეს პატარა მინდორი ოთასსა ჰგავანდა. კარშემო იყო მაღალი ხეები, რომლის ტოტები ჭირივით იყო შეერთებული და ხეებს შეა კედლებივით იყო აუოლის ლი სუროები.

— მშვენიერად მოვეწეობით, — გაიმეორა ილიკომ სტომით. — გაიცინე სონა, რა დაგემართა.

მავრამ სონას არ ეცინებოდა, ეს ტუ მალიან აშინებდა მას.

— დედას უნდა წერილი მივწეროთ, — სთქვა მან.

— თუ გინდა ეხლავე, — უთხოა რეზიკომ, ამოიღო ჯიბიდამ საწერელი და კალამი და სის ფოთოლზე შემდეგი დასწერა:

საუვარელო დედა!

« ჩვენ უდაბნო ტუები ვართ და მალიან ბეჭიერად ვცხოვრობთ.

რეზიკო, ილიკო და სონა.

— კიდევ მისწერე: « მოდი დედიჯან შენც ჩვენთან », — დაუმატა სონამ.

რეზიკომ დაუმატა ეს სიტუაცია, პატარად დაკაცა  
ფოთოლი, სონას გულსაფარიდამ გამოამრო მაფი, მოა-  
ხვია გარშემო, რომ კაჭკაჭისათვის მოება ფრთაზე.

კაჭკაჭი აგერ ექვსი თვეა რაც ბავშვებთან იუთ და  
მალიან შეჩვეულიც იუთ. ნება მისცა მიებათ ფრთაზე  
წერილი, მაგრამ, როდესაც უთხრეს: «აბა წადი ეხლა სახლა-  
ში და ეს წერილი ღედას წაუღეო», კაჭკაჭი არ დაიძრა  
ადგილიდამ, შემოაჯდა სონას მხარზე და მაგრა ჩაეწუტა  
კისერში.

— ეხლა რა ჭენათ, რომ კაჭკაჭი არ მიდის და არ  
მიაქვს წერილი, — სთქვა ილიკომ.

— ხეალ სხვა ფრინჯელი მოვქებნოთ, — სთქვა ზეზი-  
კომ, — მაგალითად მტრედი. მტრედმა იცის წერილების წა-  
ღება ეხლა კი გვიან არის, ვჭამოთ ვაშმამი და დავი-  
ძინოთ.

— ასე ადრე, — სთქვა სონამ, — ჯერ კიდევ ღლეა!..

— მართალია, მაგრამ ნათლადვე სჯობია დავიძი-  
ნოთ, თორემ როცა დაბნელდება, ვად თუ შეგვეშინდეს, —  
სთქვა ილიკომ.

— ჯერ პირველათა ვართ, — სთქვა რეზიკომ, რომლის  
სიმამაცე თან-და-თან სუსტდებოდა, როდესაც შევეზევით,  
მაშინ კი აღარაფრისა შეგვეშინდება. აბა, ვჭამოთ მაშ ვახ-  
შამი, აი მაჟვალი, მოვკრიფოთ.

ორმა მმამ მოკრიფეს ბლომად მაჟვალი, გააწეს  
ფოთლებზე და ისე დააბლაგეს.

— აბა, დავსხდეთ, — სთქვა რეზიკომ.

— პური? — იკითხა სონამ.



— სულ ჟველაფერი ქრთბაშად ხომ არ იქნება, — უთხრა  
ილიკომ.

— რობინზონს განა პური არა ჰქონდა?

— როგორ არა, მაგრამ თითონევე გააკეთა.

— რისაგან გააკეთა მერე?

— ხორბლისაგან, რომელსაც თითონ სთესავდა. ჩვენც  
დავთესოთ ხორბალი და, როდესაც ამოვა და თავთავს გაი-  
კეთებს, მოგგრიფოთ, ქვებით დაუფეხათ, როგორც რობინ-  
ზონი შერებოდა, ცომი გაგაკეთოთ და მერე ამ ცომისაგან  
პური გამოვაცხოთ.

— აი, ხედავ, — სთქვა ილიკომ, — უნდა მოვითმინოთ,  
როდესაც უდაბნო ტუქმია კაცი, ჟველაფერი მზად კი არ  
ექნება.

სონამ შეჭამა მაუვალი, მაგრამ გულში მაინც ამბობდა,  
რომ თეთრი პურის ნაჭერი სჯობდათ ამ ხილს, რომელიც  
ასეთი მქაფე და უგემური იყო.

— აჭა, ჩემო მეგობარო, — უთხრა კაჭკაჭს დაღონებულ-  
მა სონამ, — ჭამე, პურის ნამცეცებს და ხორცს ვეღარ მო-  
გცემ, მე თითონაც არა მაქვს.

კაჭკაჭმა გაშინჯა მაუვალი და არ მოეწონა, რადგან  
მაშინვე ნისკარტი მიიბრუნა.

— მშენიერია, მალიან გემრიელია სწორედ, — სთქვა  
რეზიკომ.

— მწურიან, — წამოიძახა სონამ.

— სვალამდინ მოიცავდე, — უთხრა უფროსმა მმამ: — ესლა  
ხომ ვერ წავალთ წელის საძებნელად, შეიძლება შიგ  
ჩავცემივდეთ.

ამ სიტუაციაში სონა ააქრეოდა და თვალები ცოტაშლით გაიშნო.

— დავიძინოთ ეხლა,—სთქვა რეზიკომ.

— ესე ჩაცმულება?

— რასაკვირველია, ტანთ ოომ გავისადოთ, შეგვცივა, რადგან საბნები არა გეაქვს, ოომ დავისუროთ.

— ლოგინი საჭდაა?

— ეხლავე გაგაეთებთ, უდაბნო ტექმი უკელაფირი ჩვენ თვითონ უნდა მოვახერხოთ, როგორც რობინზონი ჩადიოდა.

ორმა ჰატარა ვაჟმა მოაგროვეს გამსმარი ფოთლები ერთს ადგილას.

— აქ მალიან მუკროდ ვიქნებით,—სთქვა ილიკომ,— აბა, სონა, დაწექი რადა.

— ბადეიში ოომ არა მაქს?



— თავი მომაბესრე სწორედ, სონა,—სთქვა მოთმინებიდამ გამოსულმა რეზიკომ.



— არც რობინზონს ჸქონდა ბალიში.

სონა წამოწვა ფოთლებისაგან გაკეთებულს ლოგინზე,  
მაგრამ პატარა ხანს უკან დაიკივლა და წამოსტა.

— რა დაგემართა? — დაიგვირეს შეძინებულმა გა-  
შებმაც.

— ჭია არის!

— მოჟეალი რა!

სონა მეორე კუთხეში მიიკრუნჩა.

— აი, მოგეალი, მოდი დაწეუ!

პატარა ქალი დაღონებული მოვიდა, მოუწვა თავის  
მებს და დაიწეო ტირილი.

— რა გატირებს? — ჰყითხა რეზიკომ.

— მცივა, — უნასუხა მან.

თუმცა ზაფხული იუო, მაგრამ დამის სიგრილე მაინც  
მალიან საგრძნობელი იუო. ხეებ შემოვილებული მინდო-  
რი ისეთი თბილი კი არ არის, როგორც ქვითკირის  
ოთახი.

— სწორედ რომ არა თბილა, — სთქვა ილიკომ, — რო-  
ბინზონი როგორ ანთებდა ცეცხლს?

— ორ ნაჟერ ხეს ერთმანეთს უხახუნებდა და ისე გაა-  
ხენდა სოლმე ცეცხლსა.

— აბა ჩვენც ვსინჯოთ.

ორმა მმამ აიღეს პატარა ჩხირები და დაუწეუს რაც  
მალი და ღონე ჸქონდათ ერთმანეთზე სახუნი. კლავები  
დაედალათ, მაგრამ ცეცხლი მაინც არსად იუო.

— წუმწუმა რომ იუოს, უმეთესი იქმნება, — შენიშვა  
ილიკომ.

— ჩასაკვირველია, მაგრამ უდაბნო ტუქში რომ ღუქა  
ნი არ არის,—სთქვა რეზიკომ, —ესლა დავიძინოთ და წვალ  
გველაფერზე ვიფაქროთ.

სონამ დაიწეო ხმასმაღლა ტირილი: არც პური, არც  
წეალი, არც ლოგინი, არც ბალიში, არც ცეცხლი! წვე  
ნის მაგივრად მაყვალი და პირის ჩასატკბობლად ჭია  
ღუქები. ხუთი წლის რობინზონის ეველა ესენი მალიან  
აწუხებდა.

ამ ხმაურობაზე მოისმა მსიარელი უეფა, იმათი ში-  
ნაური მაღლი, ტურფა, შემოვარდა.



მაღლს უქან მოსდევდა ფარნით მებაღე ჰეტრე.

— ა, ქალბატონო, ისინი არიან, —დაიუკირა ჰეტრემ.

მხიარული კიფილი შეიქმნა. ღერა სიხარულით მიუარა და თავის უძაღურ ჰატარა შვილებს, რომელთაც ასე შეაწეს.

მამას უნდოდა გაწერომა, მაგრამ, როდესაც დაინახა იმათი გახარებული სახე და სინაწყლი, დამშიდდა და დაუწეო ალერს.

იმათ აღიარეს, რომ სახლში უოფნა ღერასთან და მასთან სჯობიან ამ უდაბნო ტექს.

ერთს საათს შემდეგ სამივე რობინზონი ისხდნენ სუფრაზე და გემრიელად შეაქცეოდნენ ცხელუცხელ წვნიანს და ცვრიან წვადსა. როცა გაძლნენ, დაწვნენ თავ-თავიანთ რბილ, სუფთა ლოგინში.

— ოჟ, ღერა,—სთქვა დარცხვენილმა რეზიკომ,—ბევრი უსიამოვნობა და მწუხარება მოგაუენეთ განა?

— ბევრი, თქვე სამაგლებო,—სთქვა ღერამ,—მე თქვენ ბოლომდის წაგიკითხავთ რობინზონის ამბავს და ნახავთ, როგორ იყო ის დასჯილი თავის ღედ-მამის მიტოვების-თვის და რამდენი მწუხარება გამოიარა.

— არას დოოს აღარ ვიზამთ, ღერა,—წამოიძახეს ერთ-სმად სამთავე მგზავრმა.

ღერამ მაგრად დაჭირდნა თავის ჰატარა შვილებს.

— იცი, ღერა,—უთხრა სონამ,—ჩვენ წერილი მოგწერეთ, რომ შეგვიტუბინებინა ჩვენი ახალი სადგომი, მაგრამ ჩემმა სამაგლემა კატეპტა არ წამოიღო, იმას წერილი ჯერაც ფრთაზე აქვს მიბმული.

ღერამ გაიცინა, მივიდა გალიასთან, საცა ჩიტს ემინა, და მოხსნა ფოთლის ბარათი.

— ମାଲିନୀ କାର୍ଗି, ହେଠାର ଶ୍ଵାସପ୍ରଚାର,—କଟକ୍ଷେତ୍ର ରୂପରେ,—ଏହି  
ତଥାର ବ୍ୟାକିଲାର ଶ୍ଵାସରେ ରାଧାରାଜାର ତଥାର ମଧ୍ୟ ଉପରେ  
ଯାଇବା ମନ୍ଦିରରେ ଆମିରର ପାଦରେ ରାଧାରାଜାର ପାଦରେ  
ପାଦର ରାଧାର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର

ରାଧାରାଜାର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର  
ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର ପାଦର

ପ୍ରକାଶ ପାଦର



ო თ ხ ი ს უ რ ა თ ი



ახეთ-ქიზიყის მთის ძირობები  
 სოფელ-ბალებით მოხატულია;  
 გაზაფხულიდან მისი მინდერები  
 ფერად-ფერადად მოქარებულია.

არ მოსწინდება კაცს იქ ცხოვრება,  
 ათას ფრად იცელის ბუნება ფერსა,  
 სხეა-და-სხეაობით სუსელას ართობს,—  
 ღიღსა, პატარას, მეღვს და ერსა.

I

აი, იჩენა ცაში ღრუბლები,  
 ქვეუნად კლებულობს სიცხოვლე შზისა,  
 სიცივემ დაჲკრა და გადეფარა  
 თეთრი სუდარა გულ-ცივ ზამთრისა.

გლეხის სახლებში ცეცხლი გიზგიზებს,  
 შინ-საქმით საქმის გამრჯელის ხელით,  
 ალარსად მოსჩანს მინდერად ცხეარ-ძროხა,  
 დაობლებულა მთა, ტყე და ველი.

სოფლის მეტყავეს ეხვეწებიან:  
 ტყავი ნისიად დაგვაცალეო;  
 და მეზერე სარსა სჩეკავს, ღიღენებს:  
 ზაფხულო თბილო, მოდი მაღეო!

## II

თბება. კეირტები ეშლება ვაზებს;  
 მწეანე კაბასა იცეამს მთაბარი;  
 ტოროლა მაღლა ცაში ფრიალებს,  
 მღერის და გალობს სულით დამტებარი.

სა ჭიქა-გრეინეით მარგალიტსა სცრის,  
 ხან მზე გამოდის ოდნავ თბილია,  
 ზღვასაეით ლელავს ნორჩი ჯეჯილი,  
 სარჩო ლეთისაგან დალოცუილია.

აგერ გუთნებიც გამოიტანეს  
 და გადაბზარეს მთა და ველია,  
 ტურფად აჭრელდა მწეანე მინდერები--  
 საყოველთაოთ სანატრელია!

## III

ცხება. ცეცხლსა ჰყრის მზე მაღლა ციდამ;  
 მოოქროულია მინდერად ყანები.  
 გლეხნი სიმღერით ქერებსა ჰმერინ,  
 შორს ისმის მათი ნანის-ნანები.

მიდის და მოდის საძნე ურმები,  
 ზედ დასძახიან ჰოროველასა;  
 ქალები კევრებს დაქროლებენ,  
 გრძნობით მღერიან ნანა-დელასა.

საღამოს ქამისა კალოს ხეავები,  
 წითლად და ყვითლად გამოპლუვიან,  
 მუშაკთა ტკბილად მიეძინებათ,  
 კოლო-მუმღები თავს დაპბზუვიან.

## IV

აგრილდა. ყვითლად ჭკნება მთა-ბარი,  
 ჟივილ-ხივილით ჰერეფენ ენახებს,  
 ტკბება და ხარობს ხალხი გამძლარი,  
 ყოველგან რეცხენ სალვინე ქვევრებს.

დუღს და გაღმოდის ტყბილი მაჭრები;  
 ჰენავენ, ჰსოესავენ, ჰფარცხევენ, მღერიან;  
 სიცოცხლით საესე მეცხრები ფარებს  
 მთიდამ ბარისკენ ერეკებიან.


ნამით და ჭირხლით მოვერცხლილს მინდვრად  
 მხენელნი — „გასწი-გა!“ — გაიძახიან;  
 და სოფლად ყველგან მეფის მაყრები  
 მაყრულ სიმღერას შემოსძახიან.

ღ. მაჩხანელი.



## გაუცინარი სელმწიფის

## ზღაპარი



ყო და არა იყო-რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გაუცინარი სელმწიფე. თავის დღეში ის გაუცინებული არაეს ენახა და გაუცინარს იმიტომ ეძახდნენ. სელმწიფეს სამი ვაჟი ჰყეანდა; ეაჟებს გაუცინარი სელმწიფის შეილებს ეძახდნენ. ერთხელ ძმებმა სთქვეს: წაეიდეთ, ვკითხოთ ჩვენს მამას, რად გვეძახიან გაუცინარის სელმწიფის შეილებსაო. წაეიდნენ მამის საკითხავად. ჯერ უფროსი ეაჟი შევიდა. მამამ ღვინით ჯამი მიაწოდა და უთხრა:

— ჯერ ეს დალიე, მერე ერთს სილას შემოგკრავ და გეტყეიო. აილო ვაჟმა ჯამი და დალია. შემოჰკრა სილა სელმწიფემ და ქოჩორზე დაატრიალა: „წადი და მერე გეტყეიო.“

ახლა საშუალი შეილი შევიდა.—ეინა ხარო? ჰკითხა სელმწიფემ.

— მე გახლაეარო, უპასუხა ვაჟმა.—რა გინდაო? — ჰკითხა სელმწიფემ.

— გაუცინარის სელმწიფის შეილებს გვეძახიან და რათა ხარ გაუცინარი, მითხარიო,—უთხრა შეილმა. — აბა დალიე ეს ჯამი ღვინო და მერე გეტყეიო. აილო ვაჟმა ღვინო, დალია; სელმწიფეშ სილა გაარტყა და ქოჩორზე დაატრიალა. — წადი, მერე მოდი და გეყტვიო,—უთხრა შეილსა. წაეიდა ძმებთან. ძმებმა ჰკითხეს:—რა გითხრაო.—წადი და მერე გეტყეიო.

ახლა უმცროსი ძმა წაეიდა.—ეინა ხარო?—ჰკითხა სელმწიფემ.

— მე გახლაეარ უმცროსი შეილი გაუცინარი სელმწიფისაო.—რა გინდაო? — ჰკითხა გაუცინარმა. — ჩვენ გაუცინარი სელმწიფის შეი-



ლებს გვეძახიან და რათა ხარ გაუცინარიო. მიაწოდა ხელმწიფებ ჯამით ლეინო და უთხრა: — აბა, დალიე ქს ჯამი, ერთს სილას შამო-გრავ და მერე გეტყეიო. ჩამოართვა ჯამით ლეინო და დალია. შე-მოჰკრა ხელმწიფებ სილა, მაგრამ ფეხიც უერ მოაცელეენა.

— დამკარ მეორე და მითხარიო, — უთხრა შეიღმა. შამოჰკრა კიდევ მეორედ გაუცინარმა, მაგრამ კიდევ უერ მოაცელეენა ფეხი. — შემო-მკარ მესამედ და მითხარიო, — უთხრა კიდევ გაუცინარსა შეიღმა. შამოჰკრა კიდევ მესამედ სილა, მაგრამ მაინც უერ მოაცელეენა ფეხი; მერე უთხრა: წადი და ჩემის თავის ტოლა ბროწეულები მომიტანეო. სადაც იდგა, ისიც ასწავლა და უთხრა: მოხეალ და მოიტან, — გეტყე ჩემს ამბაესაო. ძმებთან მიეიღა. ძმებმა უთხრეს: რა გითხრაო. — ჩემის თავის ტოლა ბროწეულები მომიტანე და მაშინ გეტყეიო.

იარეს, ბევრი იარეს და ერთს ტრიალს მინდორზედ გაეიღნენ; წინ წადგნენ, გზა გასაყარი ნახეს; ერთი ქვა იდგა, ქვაზედ ეწერა: აქეთ წახეალ — მოხეალ, აქეთ წახეალ — მოხეალ, ასე წახეალ — ეელარ მოხეალო. უფროსი ძმა იქით წავიდა, საითაც მოვიდოდა, საშუალი იქით წავიდა, საითაც მოვიდოდა, უმცროსი იქით წავიდა, საითაც უელარ მოვიდოდა. ბევრი იარა უმცროსმა გაემა თუ ცოტა იარა, დაინახა შავი ჯარი, სულ ცხენოსანი. ბიჭმა იმედი გადიწყეიტა და სთქეა: ეხლა კი მოვკედებიო. დაიწერა პირჯვარი და გასწია ჯართან; ახლოს რო მიეიღა ჯართან, ნახა გაქვავებული ლაშეარი; გასცდა და წავიდა.

ცოტას ხანს შემდევ შორს წითელი ცხენოსანი ჯარი დაი-ნახა, შეშინდა: ეხლა კი მოვკედებიო, და დაიწერა პირჯვარი. მიუხახლოედა და დაინახა, რომ წითელი ცხენოსანი ჯარი გაქვა-ვებული იყო. გასცდა ამასაც და გაიარა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დაინახა ერთი ციხე; იმისი წევრი ცამდის იყო აწედილი. ციხის ძირს ბროწეული იდგა. ბროწეულს ხუთი თავისი ტოლ-ტოლა ბროწეული ება. ჩავიდა გაუცინარის ხელმწიფის შეიღმა, მოჰკრა ბროწეულები, ერთი შეჭამა, სამი ჯიბეში ჩაიღო და ერთიც ზედ შეარჩინა.

გადმოიხედა ქალმა ციხიდამ და დაუძახა: ეაიმე, შეილო, რა ჩემს შეილსა ჰყევხარ, აქ ვინ მოგიყენაო? ბინძური დევი მოგქ-  
ლავსო.

— მე მანდ უნდა ამოვიდე და რაც მამიეა, მომიეაო, უთხრა გაუცინარის ხელმწიფის შეილმა ქალსა. ქალმა თმა გამოუკეანძა და ჩაუშეა. შეტა ვაჟი, სტაცა თმას ხელი და აეიდა ციხეში. ქალმა დამალა: რო მოვიდეს და გნახოს, მოგკლავსო. გაუცინარის ხელმწიფის შეილმა ჰათხოვა, როგორმე გაიგე, ჰკითხე, რაში არის იმისი სულიო და მერე მე ვიციო. მოვიდა დევი და სთქა: ხორციელის სული მომდი-  
სო. არაო, უთხრა ქალმა აქ ადამიანს რა უნდოდა, შენ თვითონ მოგყებოდაო. ჩამოეკონჭიალა ყელზედ ქალი ბინძურს დევს და დაუწყო სურვილება: ძალიან მიყეარხარ, უშენოდ ველარა ეძლებ,  
როდესაც შენ აქ არა ხარო, და მითხარ, რაში არის შენი სულიო?

— ჩემი სული ცოცხში არისო, უთხრა ბინძურმა დევმა. ბინ-  
ძური რო სანადიროთ წაეიდა, ქალი ადგა და მორთო ცოცხი ათას ნაირად, შემოახეთა ბალდადები და ფარჩები, მიიტანა და ლოგინზე დაღო.

მოვიდა ბინძური დევი, ნახა ცოცხი და დაიწყო სიცილი: მო-  
გატყუე, განა მართლა მაგ ცოცხში არის ჩემი სულიო. ჩემი სული  
დედა ბოძში არისო. წაეიდა ბინძური ისევ სანადიროდ; აიღო და  
გარეცხა და გაწმინდა დედაბოძი, მორთო და მოკაზმა, ეხევეა და  
ესურვილება. მოვიდა ბინძური და ნახა ცოლი ამ ამბავში. მაგას  
რასა ჰშერებიო, ჰკითხა.

— შენს სულს ვეხვევიო.

— რამ გაგასულელაო? — უთხრა ბინძურმა სიცილით. ჩემს სულს  
შენ ვინ მოგცემს, ამა და ამ ალაგას რომ ერთს აღილას ერთი  
ტახია, იმის თავში ერთი კოლოფია, იმაში სამი ჩიტია: წითელი  
ლონეა, თეთრი გონება და შაეი სულიო.

— ვინ მოჰკლავს იმას, არი ეინმე იმისთანაო?

— იმას ვერაფერი მოჰკლავს, თუ ჩემ წყალში ნაწრობი ისა-  
რი არ მოჰხედაო, უპასუხა ბინძურმა.




წაეიდა თუ არა ბინძური დევი სანადიროდ, აღგა გაუცინარი ხელმწიფის შეილის, აიღო ორი პური და წაეიდა მჭედელთან. გააკეთებინა ოცი ლიტრის მშეილდ-ისარი, მოჰწია და მოდრიკა. გააკეთებინა ორმოცისა, მოჰწია და მოდრიკა, ბოლოს სამოცისა გააკეთებინა, მოჰწია და შეილდი მაგრა იდგა; მჭედელს უთხრა: შენ არ აწრთო, საწრთობელს წყალს მე თეითონ მოგიტანო. წაეიდა და მოიტანა ბინძურ დევის წყალი, აწრთო მჭედელმაც მშეილდ-ისარი. გადიგდო გაუცინარ ხელმწიფის შეილმა მხარზედ და გაუდგა გზას ღორის საძებნელად.

იარა, იარა და მიეიდა იმ წყალზედ, საღაც ტახი წყალსა ჰსეამდა. წყალზედ ქალი იჯდა და ტიროდა. რა გატირებსო, ჰკითხა ვაჟმა, რად იტკენ მაგ მშევნიერს თვალებსაო.

— თუ ქრისტიანი ხარ, წადიო, — უთხრა ქალმა, — დრომ მოაწია, ღორი მოეა, უნდა შემჭამოსო. თურმე ღორს ყოველ დღე თითო ქალი ჰყვანდა გადადებული შესაჭმელად.

ვაჟმა უთხრა: შენ იმისი ნუ გეშინან; ეხლა მე ცოტას დაეიძნებ და დაეისვერებ. შენს მუხლზედ მიედებ თავს და როდესაც ტახი მოდიოდეს, ერთი სილა შემომქარი და გამომალეიდეო. დაიძინა გაუცინარი ხელმწიფის შეილმა. გაეიდა ცოტა ხანი და გამოაჩნდა ღორიც; ილესაედა კბილებს და ქაფსა ჰყრიდა. ქალმა ვაჟს შეძახა, შემოკერა სილაცა, მაგრამ ტუუილად. ტირის ქალი, ტირის, დედამიწა იწვება იმისი ცოდნით. უცებ ცრემლი ქალისა დაეცემა ლოყაზედ ვაჟს და ცხრა პირი კანი აპერება. წამოხტა ვაჟი, მოავლო მშეილდს ხელი და მიჰმართა ღორს. ჩადეა ისარი, ესროლა და ერთს გვერდში ნაკრავი მეორე გვერდში გაჩნდა. წაიქა ღორი და დალია მაშინვე სული. მოსჭრა საჩქაროდ თავი, გასჭრა და ამოილო იქიდამ ყუთი. ყუთში ჩიტები იყენენ. ჯერჯანს წაჰვლიჯა თავი, წამოილო და ახლა გონს. სულის ჩიტი კი ცოტა-ლი წამოიყენა და წაეიდა კოშკში.

სანადიროდ იყო ბინძური დევი; გაეგო გრძნობით, რომ ღორის თავს უბედურება რაღაცა არისო და წამოსულიყო საჩქაროდ, მაგ-



რამ ამ დროს მოასწრო ეაქმა, ლორიც მოკლა და ლონის ჩიტასაც თავი მოსწეულია. ბინძურს ძალა აღარა ჰქონდა. ახლა გონებას მოსწეულია თავი და ძლიერ-ძლიერობით მიეთრია კოშკარ. მიეიდა და დაეგდო კოშკის ძირას; აღარაფერი არ შაეძლო. დაინახა ზევიდამ ქალმა, ჩამოეიდა, დაუჯდა თავით და დაუწყო კითხა: რა გვირს, ჩემო სიცოცხლევ, რა დაგმართეიაო? მოეიდა ვაჟიც და დაუჭეულა ბინძურს: რას უვდინარ, ძალლო, ადე, დაიკარგე აქედამაო. მითხარი, სად არის შენი ცხოვრებაო, ან ის ჯარები რო გავიქვავებია, იმათ რალა გააცოცხლებიო!

— მაშინ დევმა უთხრა: წადი, მაღლა ადი, იქ სამი მათრახია, ერთი თედრი, ერთი წითელი და ერთიც შაეიო; შაეი მათრახი შაეს ჯარს დაჲკარი, წითელი წითელს და თეთრი თეთრსაო. ჯარები გაცოცხლ-დებიან და შენი ყმები იქნებიანო.

— მასწავლე ლოცვაცაო, უთხრა ეაქმა. ასწავლა ბინძურმა ლოცვაც.

— შენი სიმდიდრე რაში ლა არისო? ჰყითხა ეაქმა.

— ი ეს გასალები წაიღე, სულ ნაპირის ოთახი გააღე და ჩემი ცხოვრება აქ არისო, უთხრა ბინძურმა. წაეიდა ვაჟი, გააღო კარი და სამი წყეული კი დახედა.

— ოჂ, ეს რა კარგი საქმეა ჩენთევისაო,—სიკეთეს წყეულებმა.

ეაქმა უთხრა: ცოტა ხანს აქ იყავით, გარეთ გაეალ და ისევ შა მოვალო. გამოეიდა და გადმოუკეტა გარეთ კარი, მიეიდა დევთან და ჰყითხა: იქ რისთეის შემიყვანე, იქ წყეულებმა კინაღამ შემჭამესო.

— არაო, — უთხრა ბინძურმა, შენ წადი, ესა და ეს ოთახები გააღე, იქ თეალმარგალიტია, ის წყეულები შენ აღარაფერს გიზამენ, რაკი ნათელი აჩვენეო; აჰყიდე იმათ და წაიღეო.

ადგა ბიჭი, გააღო ოთახები, აუარებელი თეალი და მარგალიტი წამოილო და წამოეიდა, წაიღო თან ის ბროწეულებიც და წაეიდა. მიეიდა იმ ქეასთან, გზის გასაყარში რომ იღო, დაჯდა იქა და დაისვენა. გაუცინარი ხელმწიფის შეილს ძმები იქ დახელენ, ამოილო ბროწეულები და თითო-თითო დაურიგა. ძმებს შავშურდათ:

ჩვენი მიტანილი ბროწეულები წერილია და მაგის მიტანილი მსხვილებიო, აღნენ და ღალატი დაუპირეს. მანც ერთათ წაეიღნენ. გზაზედ წყალი მოსწყურდათ. ერთი ჭალა იყო; იმ ჭალას ეძახოდნენ ბულაყს.

მიეიღნენ ძმები ბულაყთან და წყალი უნდა ამოელოთ. ჯერ უფროსი ძმა ჩაუშეს. ცოტა რო ჩაუშეს, ყეირილი მორთო: ამწით, ამწით, დაეიწეო! ამოპწიეს და ამოიყენეს. ახლა საშუალი ძმა ჩაუშეს, იმანაც ისე დაიწყო ყეირილი. ამოპწიეს და ისიც ამოიყენეს. უმცროსმა ძმამ უთხრა: მე ჩამიშეით და რამდენიცა ესთქვა: „დაეიწეო“, იმდენი ძირს ჩამიშეითო. ჩაუშეს უმცროსი ძმა, და დაიძახა: „დაეიწეო!“ ჩაუშეს უფრო, დაიძახა კიდევ: „დაეიწეო!“ და უფრო ჩაუშეს. ჩაეიდა ვაჟი და დალია წყალი. ჯერ წყალი ააწოდა ძმებს, ახლა თეთონ მოიბა წელზედ, მაგრამ შუა გზაზედ დააჭრეს ძმებმა თოკები და ჩაგდეს ძირსა.

წამოეიღნენ. ძმები და წამოიღეს ბროწეულები, მოეიღნენ და მოუტანეს მამას.

— მესამე ძმა რაღა უყავითო? — ჰერთხა მამამ.

— არ ვიცით, ის არ გვინახია, უპასუხეს ძმებმა. აბა მაშ შენ გზაზედ რა ჰნახეო, ჰერთხა მამამ უფროსს შეიღს. — არაფერიო, უპასუხა შეიღმა. დაუძახა ახლა საშუალს და იმასაც ისე ჰერთხა. არც არაფერი მე მინახია, უთხრა იმანაც. გაჯავრდა ხელმწიფე; მაშინვე გაგზავნა საძებრად ნაზირ-ეგზირი და გაატანა ჯარი. წაეიღნენ ჯარები, ბერი ეძებეს და ბოლოს ბულაყში იპოვეს. ამოიღეს და წამოიღეს შინ მკვდარი.

ხელმწიფემ უფლის ხელსახოცი წაუსვა თუ არა ხელსახოცი, ვაჟი მაშინვე გაცოცხლდა. გაუცინარმა ისეთი გაიცინა, რომ მიწა ჰაიძრა, ცა გაიხსნა და იქიდამ ტომჩებით ოქრო, ვერცხლი გადმოიბნა. მაშინ ხელმწიფემ უთხრა: რა უყავ ბროწეულებიო.

— მე წამოეიღე, ცოტათ მახსოვესო, უთხრა შეიღმა.

— მაშ რა ჰნახე შეიღო, გზაზედაო? ჰერთხა მამამ. შეიღმა ყველაფერი უამბო, რაცა ნახა: გზაზედ შავი ცხენოსანი ჯარი იდგა

გაქვავებულიო, იმის იქითწითელი და იმის იქით თეთრიო. გაეიარე კიდევ და ერთი ციხე ენახე, წერი ცამდინა ჰქონდა აწედილიო და სამი ფანჯარა ჰქონდაო. იმ კოშკის ძირში ერთი ბროწეული იდგა, და ეს ბროწეულები იმაზე დავკრიფეო.

— მაში იქ ქალი კი ვერავინა ჰნახეო? ჰკითხა ხელმწიფემ.

— ენახეო, უთხრა ვაჭმა. მაშინ უთხრა ხელმწიფემ: შეილო, გაუცინარს იმათ მექანიან, რომ ის ქალი ჩემი ცოლია, იმ ბინძურ დევმა მომტაცა და ის შავი ცხენოსანი ჯარი, ის წითელიც და ის თეთრიც ჩემია და იმან გამიქვავაო. ეხლა მოდი შენა და გაიცინე, ეისაც იმოდენა დაგიკარგნიაო.

ადგა მაშინვე ვაჟი, წავიდა კოშკი მოყლა ბინძური, წამო-იყვენა დედა, წამოილო მათრახები, ერთი ერთს ჯარს გადაჰკრა, მეორე მეორეს, მესამე—მესამეს, გააცოცხლა და წამოეიდა შინ ბშეი-დობით.

ჭირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.  
ელასა, მელასა,  
ჭიქა მეკიდა ყელასა.  
მთქმელსაც და გამგონებელსაც,  
ძილი გაამოსთ ყელასა.



ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ი

გუთნის მომართვა

(ი. სიდომონ-ერისთავის წარმოდგენილი)



უთანი ისე გაემართე,  
 როგორც რომ მართებულია:  
 პირველ გაეთალე ხის რეილი  
 სახელ დებული თელისა,  
 მოეუკერ სახლმე შუაზედ,  
 შემოუღერე ყელიცა:  
 ყელი კარგად მოუკეიდა  
 და შუა წელი სრულია,  
 კაკლის დედანი შევაბი  
 შალაშინ გადასმულია,  
 ზედ გაეუკეთე წელ-კული  
 როგორც რომ ჩამოსხმულია.  
 იუნის ხმალი გაეატარე,  
 ფარეშით გათანგულია,  
 ღირლიტის მორგვი გავთალე,  
 პიტალი კაკლის გულია;  
 მუხისა სოლი ვახმარე,  
 ხელებით დაწმენდილია,  
 ჯაგ-რუხილის ფერსოს მოვკიდე,  
 როგორც ლულაბი — კირია.

---

ისე გაემართე გუთანი,  
 როგორც რომ მართებულია:  
 ზედ მოეუბი საყერები,  
 წნელებით გადაბმულია,

შიგ დაუუმართე ულლები,  
 ახალი დატუსულია;  
 შიგ ჩაეუყარე ტაბიკი,  
 დათლილი შეინდის გულია,  
 შეები აპეურები,  
 ახალი დაგრეხილია;  
 შეები ხარი-კამეჩი,  
 რქა-კუდით შემკობილია,  
 ხარები იყო მაღალი  
 და კამეჩები სრულია.  
 ზედ შეუდგნენ მეხრეები  
 სიმღერას ამბობენ ტკბილსა;  
 მაჭმო, ხარო შაეთვალავ,  
 შეინდას უსწორდი მხართანა!  
 — აბა, ბიჭებო, გარეკეთ,  
 იგანეს ეტყვის ათანა,  
 სახრე ფთხილად მოიხმარეთ,  
 არ მოახვედროთ მხართანა!  
 ბიჭო, გუთნის თავის მეხრევ,  
 არ მოზდო დიდი ველია,  
 გუთნის გადმოწევისაგან  
 არ მოიწყვიტო წელია;  
 სახრის ცემა არ დაუწყოთ,  
 გაუქნიერით ხელია.  
 ყველამ კარგათ გაირეკეთ,  
 ნუ მაიგონებო ძილსაო,  
 ეს ჩვენი მარჯვე გუთანი  
 ველს მაღლა უზამს ძირსაო,  
 ძალიან გაუჯაერდებით,  
 ბელტს გადაწევენს სხეილსაო.  
 ფარცხითაც ისე ჩაეფარცხაეთ,  
 როგორც წისქეილი ფქეილსაო,  
 შიგ რომ დაეთესაეთ თეთრ პურსა,  
 ყანას მოგვიყვანს ხშირსაო.

პატარ-პატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი მეცნე



აռ ანიკ! მე რომ პირველად ჰქიდოა ვნას ხე, მწვანე ტოტებიანი რაღაც მცენარე მეგონა, და წარსულ წერილით ხომ შენც შეიტყვა, რა ნაირი უცნაური ცხოველი აღმოჩნდა. ახლა მასწავლებელმა გამაცნო ერთნაირი ცხოველი, რომელიც ისეთი ლაბაზი რამ არის, რომ სწორედ უვაილების კონა გეგონება.

ამ სანახავად მშვენიერ ცხოველს, რომ მელიც ნამდვილ გადაძლილ უვავილს მოგაგონებსო, — მითხო მასწავლებელმა, ბერმძულად აკტინია ეწოდებაო. აკტინა განსაკუთრებით ცხელ ქვეუნების ზღვებში ცხოვრობსო და აქ ერთ ალაგზე საღმე ზღვის ქვას ან კლდეებს კორიბა ხოლმე ისე მაგრად, რომ, თუ კა დონე არ იხმარე, ვერც კი მოჰერებ ალაგიდგანაო.

ზოგჯერ კი ცურვაც უქარს და სან ცელქობს კიდეცაო: თავდაუირა ჩაეკიდება ზღვაში, მინს ზევით მოიქცევს და პირის ფოჩების შემწეობით დაცურავს ხოლმეო. სიდიდით არც აკტინა არის დიდი ცხოველიო, ზოგი აკტინია ორი-ოდე გოჭის ოდენაო; ტანი რბილი აქვს, რომელიც უკ-



რადი ტეავით არის შემოსილიო; თავზე, პირის გარშემო, ერთ ან ორ რიგობათ სხივებსავით აქვს შემომწერივებული ლამაზი ფერადი ფოჩები, რომელიც ჭინჭარსავით ისუსხებიანო.

აკტინია მაშინ არის უფრო მშვენიერი სანახავი, როცა თავის ფერადულებადი ფოჩები გადამლილი აქვს, და მეტადორე ზღვებში, სადაც აკტინიები ათასობით ზოგი ცურავს, ზოგი ადგილზეა მიკრობილი და ნაძღვილ გვავილებიან ბაღს მოგაგონებსთო. ამის გამო უწინ აკტინიებს ზღვის გარდებს უწოდებდნენ და დიდხასს მეცნიერებსაც კი მართლად ზღვის გვავილებად მიაჩნდათო.

გადამლილ აკტინიას ხელის შეხება არ უკვარს, მაშინადევ ფოჩებს შეიკუმშავს ხოლმეო.

აკტინიაც თურმე მაღიან დორმუცელა უოფილა. მისი საჭმელი ზღვის ჭიათუა არისო, რომელთაც პირის გარშემო მოსხმულ ფოჩებით სუსხავს, მერე პირთან მიაქვს და ჰქელაპავსო. მოუნელებელ საჭმელს პირიდგანვე ჰქერის და ზოგჯერ ისე ძლიერ იოჯება, რომ კუჭის სრულებით გადმოიბრუნებს, ასე რომ კუჭი პირიდგან გარედ ბურთსავით გამოებერება ხოლმეო და მერე, რამდენიმე ხნის შემდეგ, უკანვე შეაქვსო.

როგორც ჰიდრა, აკტინიაც თურმე მნელი რამ მოსახლობელი უოფილა. რამდენ ფოჩესაც მოსჭრი, იმდენს ახალს ამოიხეთქავსო; შეიძლება უველსავით ჩამოუთალო გვერდები, მაინც ხელახლად დანაკლისი შეეცნებაო, თავს მოსჭრი, თავი ამოუვა, ბოლოს მოსჭრი, ბოლო მოებმებაო; შეიძლება ზედ შეაზე გარდიგარდმო გადასჭრაო, მაშინ ბოლოზე ფოჩებიან თავს მოიბამს და ნადირობას დაიწუებსო.



როგორც ჭიდრა, აკტინიაც სამ გვარად მრავლდებათ: კვერცხებით, კოკობით და გაუოფით. კვერცხები უჩნდება ტანის შიგნეულობაში, აქე ბლარტობენ და მერე ეს ახალი თაობა აკტინიასი კუშტი გადადის და კუშტიდგან კი დედა პირით დაჭიბადავს ხოლმე თავის პატაწეინტელა ლა მაზულამაზ აკტინიებსო.

ხოგიერთა ჯიშის აკტინიებს იტალიაში საჭმელად ხმარობენო. აკტინიებს სილამაზის ვამო თთახების აუზშა ძაღლევანებშიაც ინახვენ, მაგრამ წეალი უნდა თავისივე ჰქონდეს, ესე ივი მარტო ზღვის წეალში შეუძლიან ცხოვრებათ. შესანახად კი ადგილი შესანახია, ოღონდ ხორცი ბლომად აჭამე და საცა გინდა აცხოვრეო.

და ასიკო! ბერი ვინატრე, ნეტა ი ზღვაში ჩამახედა, საცა აკტინიები ვარდსავით გადაშლილი იქმნებიან ხოლმე. ვიშ, დედა! რა მშეენიერი სანახავი იქმნებიან!

მასწავლებელმა მითხრა თითოოროლათ აკტინიებს უკულა დიდ ქალაქებში ინახვენ, მეტადო საცა უნივერსიტეტია და ან ხოოლოგიური ბაღიო. ზღვაში კი აბა როგორ ჩაგახედო და მე კი მინახავს სცენაზე წარმოდგენილი ოკეანე თავის აუგავებული ბაღებითათ.

ბოლოს მასწავლებელმა მითხრა: შეძღვი მე გაგაცნობ კიდევ ერთ შესანიშნავ ცხოველს, რომელსაც მარჯანს უქასიანო. მე გამტერებული დავრჩი: აი დიდება შენდა ღმერთო! თურმე მარჯანიც ცხოველი უოფილა! ტეუილად კი არ არის ნათქვამი, —უური იმიტომ არ ისდება, რომ ბევრს უცნაურს რასმე გაიგებსო.

## ს ა მ ე ა რ ი

თავი მეოთხე

აღმოსაფლეთი და დასაფლეთი.—დღე და ღამე



ასაღილეეს ბაჟშეებმა დაისწავლეს გაკუეთილები და დაიწყეს ოთახში თამაშობა. დათამ დააწყო სკა-  
მები ისე, რომ ერთი წყობა წარმოადგენდა ეკრო-  
პას, მეორე—აფრიკას. აფრიკასა და ეკროპას შუა  
დააგდო ეიწრო გასავალი, რომელიც წარმოად-  
გენდა სრუტეს, მაგრამ სიეიწროის გამო ვერ  
გაიარა და სოხოეა ძმას,—პატარა გაეგანიერებინა საელელად. დათა  
არა სთანხმდებოდა და ეუბნებოდა,—მაგაზე ძალიან რომ გაგანიერ-  
დეს, მაშინ სრუტეს ალარ ევენებაო.

ტასომ მოისურეა აფრიკაში ცხოვრება და იქიდვან სათამაშო  
ეტლით სიარული ეკროპაში ძმის სანახავად. ძმა წინააღმდეგი იყო  
ამისი და ურჩევდა აზიაში გადასახლებას. აფრიკაში რომ ეცხოვრა  
ტასოს და ხმელეთით წასულიყო ეკროპაში ძმის სანახავად, დიდი  
მანძილის გაელა მოუხდებოდა, აზიაში კი რომ იცხოვროს, ძალიან  
ადეილად შეუძლიან სათამაშო ეტლით ეკროპაში მისელა.

ტასო დაეთანხმა ძმასა, როცა ნახა, რომ ეკროპასა და აფრი-  
კას შუა წყალი სძეეს. ტასომაც მიუტანა და დააწყო რამდენიმე  
სკამი; ეს წყება წარმოადგენდა აზიას.

— აზია მაგ მხარეს არ არის, საითაც შენ სკამებს აწყობ,  
შენიშნა დათამ, — აზია მარჯვნივა სძეეს; ამისათვის იქით უნდა დააწყო  
სკამები.

ტასო არა სთანხმდებოდა დათას.

— მე თუ ასე დავდექი, აზია მარჯვნიერ იქნება; თუ მოვბრუნდი, მაშინ მარცხნიერ მომექცევა; მაშასადამე შემიძლიან აეაშენო, საცა მინდა.

— არა, როდი უნდა მოსტრიალდე! — უთხრა დათამ, — თუ რუკის პირდაპირ დასდგები, აი ასე, აზია მარჯვნიერ არ იქნება!

— მართლა, — სთქვა და რუკის მეორე მხარეს მეექცა ტასო, — აი ახლაც ხომ რუკის პირდაპირა ვდგევარ, მაგრამ აზია კი მარცხნიერა სხეეს.

— წარწერებს რომ ვეღარ წაიკითხავ! — წამოიძალა დათამ.

— არც საჭიროა მათი წაკითხეა, — მიუვი ტასომ, — სუსყველა-  
ფერი ზეპირად ვიცი. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ აქ აზია სხეეს,  
აქ ევროპა, იქ აფრიკა, იქ უნდა იყოს აესტრალია, აქ გრძელი  
ამერიკის ხმელეთი, — აი, წასაკითხიც ალარა მქონია რა.

— რა ამბავია? — ჰკითხა მამამ, რომელსაც ის იყო გაეთავე-  
ბინა საქმე და შემოეიდა ბავშვებთან სამუსაიფოდ. — რაზედა გაქვთ  
ბაასი?

— აზია მაშ მარჯვნიერ არ გეიძეეს, მამა? — შეეკითხა დათა.

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორა სდგეხარ, — მიუვი  
მამამ.

— აკი გითხარ! — გაეხარდა ტასოს: მე მართალი მითქვამს და  
საცა მინდა, იქ აეაშენებ აზიას.

— აბა, არც ევრე იქნება, — სიცილით უთხრა მამამ, შენცა სცლები.  
როგორცა სჩანს, აქაურობა აგირევ-დაგირევიათ. თქვენ, მე მგონია,  
სხეა და სხეა ხმელეთები გიშენებიათ.

— ჴო, მამა, აი ეს ევროპაა, — აუქსნა დათამ, — აქ აფრიკაა;  
ეს კიდევ სრუტეა, რომელიც ხმელთა-შუა ზღვასა და ატლანტის  
ოკეანეს აერთებს. ტასო მანდ აპირებდა აზიის აშენებას, ასე რომ  
ატლანტის ოკეანეში ამოჰყოფდა თავსა.

— მართალი ხარ, და მე ძალიან მიხარიან, რომ შეიგენ ის,  
რაზედაც ჩვენ დილას ვლაპარაკობდით.

— სხეა მხარეს რომ მიებრუნდე? — იკითხა ტასომ, რომელსაც ვერ გაეგო, რატომ არ შეიძლება აზის აშენება იქ, სადაც ის აპირებდა.

— მე ვეცდები ყველაფერი აგიხსნათ, აალაგეთ თქვენი ეტროპა, აზია და აფრიკა, თორემ თქვენ სრუტეში ვერ გამიელია, რომ ჭუდი თავის ადგილას დაედო.

— როგორც გეტუობა, ჩეენთანა რჩები, — არა მამა? — ჰკითხეს გახარებულმა ყმაწეილებმა.

— მარტო ერთი საათით: მერე კიდევ უნდა წავიდე სხეაგან. აბა, დააწყეთ თავის ადგილზედ თქვენი ხმელეთები. ტასო ახლავე გაიგებს, რომ აზის ატლანტის ოკეანეზე მოთავსება შეუძლებელია.

ყმაწეილებმა ყველაფერი მიალაგ-მოალაგეს საჩქაროდ და მიუ-სხდნენ სტოლს, მამამაც მიიდგა სკამი, დაიდო წინ რუკა და მოჰყა:

— აი, ხომ ხედავთ: ამისთანა მცირე ადგილს, როგორიც ეს თახია, ადეილი გასაგებია, თუ გეტუეიან: სარკე მარტენივა ჰკიდია, სკამი მარჯვენივა სდაგას, სტოლი ჩემი წინა და ტახტი ჩემს უკანაო. აქაც, თუ მიებრუნდი, უკულმა იქნება: სკამი იდგმება მარტენივ სარკე მარჯვენივ, სტოლი ჩემს უკან და ტახტი — ჩემ წინ, ერთი სიტყვით, იგივე გამოეა, რაც აზისა და ეტროპის შესახებ. ამისა-თევის როდესაც მსწავლულებს უნდოდათ რომელიმე ქვეყნის ალ-წერა, ჯერ უნდა შეეტყოთ ამ ქვეყნის ნამდევილი მდებარეობა, ესე იგი, ნამდევილათ გაეგოთ, ეს ქვეყანა მარჯვენივ სძეეს, თუ მარ-ტენივ.

ამისათევის საჭიროდ შეიქმნა იმის გაგება, თუ სად არის მჩე დილით, შუადლისას და საღამოთი.

ხომ იცით, რომ მჩე ყოველ დილით ერთსა და იმავე მხარეს ამოდის ხოლმე.

— ჴო მამი — სთქვა ტასომ, — მზე ყოველ დილით ამ სარქმე-ლებს მიადგება ხოლმე, საღამოთი კი, როცა ჩადის სამზარეულოს.

— ძალიან კარგი. ის მხარე, საიდგანაც მზე ამოდის, იწო-დება აღმოსავლეთად, საითაც ჩადის, — დასავლეთად.



ლაპარაკში ხშირადა ეხმარობთ: „მზე ამოდის ანუ ჩადისო,“ თუმცა კი ნამდვილად ასე არ არის: მზე უძრავად დგას ერთ ადგილას.

— როგორ თუ მზე უძრავად დგას? — გაიკერვა დათამ, — მაშ მუდამ დღე როგორა ეხედავთ, რომ მზე თავს ამოჰყოფს თუ არა, მაღლა-მაღლა მიღის, მერე ძირს ეშვება მანამ, მთლად არ დაიმალება ხოლმე.

— ეგრე გვეჩენება, — განაგრძო მამამ. კარგა ხნის განმაელობაში, როცა ჯერ არ იცოდნენ, რომ დედამიწა ბურთ-მაგვარია, ხალხი ეგრევე ფიქრობდა, როგორც შენ. ეხლა კი დარწმუნდნენ, რომ მზე უძრავად დგას და მარტო ჩენ, დედამიწაზე მცხოვრებთ გვეჩენება, კითომ იგი მოძრობდეს.

— დათა, მოიტა, შვილო, შენი რეზინის ბურთი და სან-თელი და უფრო უკეთ აგიხსნით ამას. ფარგებს ჩამოვუშვებ, რომ დაბნელდეს ოთახში და სანთელს აეანთებ; ბურთისა და სანთლის შემწეობით უფრო ადვილად გაიგებთ, მე მგონია, მზის ამოსელას და ჩასერას.

მამამ ჩამოუშეა სქელი ფარგები, ასე რომ ოთახში თითქმის მთლად დაბნელდა. მერე აანთო სანთელი და აილო ბურთი ხელში.

— უყურეთ ახლა, — უთხრა ბაეშვებს, — სანთელი იყოს მზე, ბურთი დედამიწა: ხომ ხედავთ, რომ მზეს შეუძლიან გაანათოს მხოლოდ ქრის მხარე დედამიწისა. მეორე მხარე ჩრდილშია. მზისა-გან განათებულ მხარეს დღეა, მეორე მხარეს — ღამე, იმ ადგილას კი, სადაც სინათლე და ჩრდილი იყრებიან — ბინდია.

წარმოიდგინეთ, რომ აი, აქ, ზეეით, ჩრდილში, მაშასადამე ჩეენში, ღამეა. მე ეხლა ნელ-ნელა მოვატრიალებ ბურთსა, ისე როგორც ჩენი დედა-მიწა ტრიალებს. უყურეთ! ნათელი ნელ-ნელა ეფინება იმ ნაწილს, საცა ჩეენა ეცხოვრობთ; მაშასადამე ჩეენში განთიადია; თუ ცოტა კიდევ მოვატრიალეთ ბურთი და გა-ეიხედავ ამ ბურთის ნაწილიდგან სინათლისკენ, დაეინახავთ სანთლის ალსა. ეს ისეთივე მოელენაა, როგორც ისა, რომ ჩეენ აღმოსავ-

ლეთისაკენ გაეიხედავთ და ამომავალ მზეს დავინახავთ ხოლმე. ჩეენ მაშინ მზის დასანახავათ თავის მაღლა ალება აღარ დაგვჭირ-დება, რადგანაც მზე „ცის კილურზე“ სჩანს.

— რასა ჰქონიან ცის კილური? — ჰქოთხა დათამ.

— ცის კილურს ეძახიან ჩეენი მხედველობის წრეს, ესე იგი დედა-მიწის ზედაპირის იმ ნაწილს, რომელსაც შეგვიძლიან თვალი მიეკუთხოვ-მოვაელოთ იმ ადგილიდან, სადაც ედგევართ. თუ ვაკე ადგილზე ვდგევართ, ეს ზედაპირი უფრო ერცულია, უფრო შორს მიდის ჩეენი მხედველობა, და რადგანაც დედა-მიწა ბურთ-მაგვარია და ჩეენგან ყველა მხარეს ერთნაირად არის დაშეებული, ამისათვის ყველა შორეული წერტილები ერთ მანძილზე არის ჩეენგან და წარმოადგენს წრესა.

დაცუბრუნდეთ ისევ მზის ამოსელას. წარმოიდგინეთ, რომ ჩეენ აქა ეცნოერობთ, — განაკრძო მამამ და აჩენა ბურთი, — და პირდაპირ მზის ამოსავალ ალაგს ეუყურებთ. ჩეენ დაეინახავთ მზესა, როცა იგი ამოვა. რამდენადაც მეტს მოვატრიალებ ბურთსა, იმდენად ბურთის დიდ მანძილს მოეფინება ნათელი და იმდენად ზევით ადის მზე. უყურეთ! იმ ადგილს, სადაც წინად ლამე იყო, მერე ბინდი, ეხლა ნათელი დღეა, და ჩეენ ისე გვეჩენება, ეითომ მზემ კარგა ზეეით აიწია, ნამდეილად კი ადგილი იცვალა ბურთმა და არა სანთელმა, რომელსაც მზის მაგიერ ეხმარობთ.

— მაში, — ჰქოთხა დათამ, — რატომ ვერა ვერძნობთ დედა-მიწის ტრიალს, მოძრაობას? როცა მე მივდიეარ ან დავრბიეარ, მაშინ კი ვატყობ, რომ ემოძრაობ.

— იმისათვის ატყობ, რომ ჰმოძრაობ, რომ შენ გარშემო ყველა-ფერი დგას, არ იძერის თავის ადგილიდან. თუ შენ მოძრაობასთან შენ გარეშემო ყველა საგნებმა დაიწყეს მოძრაობა და იმავე მანძილზე კი დარჩნენ შენგან, რომელზედაც წინად იყენენ, ვერც მაშინ შეიტყობ შენ მოძრაობას. როცა ნავით დასურავ წყალში, ჰერძნობ, რომ მოძრაობ; ამას იმიტომ ჰერძნობ, რომ წყლის ნაპირები და სხვა საგნები, რასაც შენ ნავიდგანა ჰქედავ, არ იძერიან.

როცა გემი შუა ზღვაში მიდის და ხმელეთი არა ჩანს, შეი მსხდომნი ვერ ამცნევენ, მიდის გემი თუ სდგას. სწორედ ეკრევე ხდება, როცა დედა-მიწა ტრიალებს: ვერა გრძნობთ მის მოძრაობას, იმისთვის, რომ ჩვენ გარშემო ყველა საგანი ჩვენთან ერთად იძერის, ტრიალებს. მზე კი რომ უძრავად დგას იმით ერწმუნდებით, რომ ჩვენ ეიძერით და გვკონია, მზე მოძრაობს. მატარებელში როცა ზიხარ და სარქმლიდგან გაიყურები. გვინია, მატარებელი დგას, გორები, ჯაგბი და სხვა საკნები კი მირბიანო. სწორედ ესევე გვეჩენება კითამ დედა-მიწა უძრავათ იდგეს, მზე კი მოძრაობდეს.

ოცდა ოთხი საათის განმავლობაში, ანუ დღე ღამეში დედა-  
მიწა ერთხელ შემოტრიალდება ხოლმე, და ამ შემოტრიალების  
ბრალია დღე და ღამეც. ამა, უყურეთ ბურთსა, მე ამას ხელმეორედ  
შემოვატრიალებ: განათებული ნახევარი თან-და-თან ბნელდება, მერე  
მთლად დაბნელდება და ნათელი სრულებით აღარა ჩანს დაღამდა.  
კიდევ შემოვატრიალებ ბურთსა; ხომ ხედავთ, რომ იმ ნახევარზე,  
რომელზედაც ღამე იყო, ჯერ ბინდ-ბუნდია, მერე განთიადი, ბო-  
ლოს ისევ დღე. ასევე იცვლება დღე და ღამე დედა-მიწაზედაც.

ბოლოს სარკმლებს ფარდები ახალეს და სანთელი გააქრეს.

— რა ჰქონიან იმ ადგილს, საღაც მშე თავს ამოჰყოფს ხოლო დილით? იყითხა ტასომ.

— იმ ადგილსა ჰქეიან აღმოსავლეთი, იმ ადგილს, სადაც მზე  
ჩადის, დასავლებს ეძახიან; დასავლეთი სხეული სწორეთ აღმოსავლე-  
თის პირ და პირ სხეა-და-სხეა ქვეყნების რუკებს ისე ჰქატვენ, რომ  
წინ დაიღო რუკა და წარწერები წაიკითხო, აღმოსავლეთი ყოველ-  
თვის მარჯვნივ იქნება და დასავლეთი მარცხნივ. ეხლა კი შეუძ-  
ლიან მე მგონია; ტასოს იმისი თქმა, თუ რომელ მხრივ უძევს  
აზია ეკროპას?

— პატარა დამაცალეთ, მამა, რუკა გასინჯო და გეტყეით. ეკროპა აქა სძევს, აზია მარჯვნიე; მაშასადამე აზია აღმოსავლეთითა სძენს. აჩა, მამა?

— მართალია, აზია აღმოსავლეთითა სძეებს. აბა ახლა შენ  
მითხარი, დათა! რა უძეეს ექროპას დასაელეთით?

— ატლანტიის ოკეანე.

— ძალიან კარგი. თქვენ ეხლა იცით ქვეყნიერების ორი მხარე. სხვა მხარეებიც არის. რუკის ზევითა ნაწილსა ჰქონიან ჩრდილოეთი, ქვეეითას — სამხრეთი. ისე რომ დასდგეთ, რომ მარჯვენა ხელი აღ- მოსაელეთისკენა გქონდეთ, თქვენ წინ რაღა იქნება?

— ჩრდილოეთი! — მიუვი დათამ.

— თქვენს უკან?

— სამხრეთი.

— მარცხნივ?

— დასაელეთი.

— ძალიან კარგი. მე მგონია, დლევანდელი ნაამბობი კარგად იცით. ეხლა კი დროა წაეიდე, ცოტაოდენი საქმე დამრჩა და უნდა გავათავო დლეს კიდევ.

გეტუვით რასმე ჩრდილოეთსა და სამხრეთზე, და თქვენ მაშინ შეიძლებთ დედამიწაზე გზის პოვნას.

### თავი გეხუთა

ჩრდილოეთი და სამხრეთი. — ზამთარი და ზაფხული.

ყმაწეილები მოუთმენლად ელოდნენ, როდის დაიწყებს მამა თაეს დანაპირებს.

დათამ იპოვა რუკის ზემოთი და ქვემოთი ორი პატარა ნახე- ვარი „წრისეგული“, რომელიც შემდეგი წარწერა იყო: ჩრდი- ლოეთის პოლუსი, სამხრეთის პოლიუსი; ძალიან გულით უნდოდა მათი მნიშვნელობის შეტყობა.

აი, აალაგეს სამოეარი, ჩაის ჭურჭელი, გაშალეს მაგიდაზე რუკა და დაიწყო მამამ.

დლეს ლამპარი მზის მაგიერობას გაგვიწევს და დაეიწყებ ბურ- თის ტრიალს, რომელიც წარმოადგენს ჩეენს დედა-მიწას.

მე უკვე გითხარით, რომ დედა-მიწას ანათებს მზე, რომ დედა-მიწა ტრიალებს დასაცლეთიდგან აღმოსაცლეთისაკენ და ამისაგან წარმოსდგება დღე და ღამე. მზე სინათლეს გარდა გეათბობს კიდევ, გეოგზარის თაეის მაცხოველებელ სხივებს. ხომ იცით, რომ ჰაერი მაშინ უფრო თბილია, როცა მზე ანათებს, მანამ უმშეო, ანუ მოლრუბლულ დღეში; ზაფხულში, როცა მზე უფრო მაღლა აიმართება, ძალზე ცხელა ხოლმე.

მე არას აგიხსნით. შენ, დათა, მკითხავდი ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლუსებზე. მე ბურთზე მელნით დაესვამ ორ ლაქას. ერთი ლაქა იქნება ჩრდილოეთის პოლუსი, მეორე—სამხრეთისა. ბურთის ირგვლივ შემოვავლებ ხაზსა ასე, რომ ორივ პოლუსი თანასწორ მანძილზე იყოს ამ ხაზიდვან, სწორედ ისე, როგორც ჩუკაზეა გაელებული. ამ ხაზს ზევითა და ქვევით, თანასწორ მანძილზე დაწიშნავ წერტილებით ორ ხაზსა, სწორედ ისე, როგორც ჩუკაზეა. ევროპა სხევს თითქმის ზევითა ხაზსა და ჩრდილოეთის „პოლუსს“ შეა; ამ ადგილს, რომელიც ევროპას უჭირავს, შემოვალებ პატარა წრესა.

ეხლა ჩვენი დედა-მიწის ბურთი შზად არის და შეგვიძლიან  
მისი ტრიალი. ლაშარი იქნება მზე, სწორედ ისე, როგორც დღეს  
დილით სანთელი იყო. ამა, უყურეთ: დედა-მიწა ტრიალებს, რო-  
გორც მე გითხარით თავის დერბზე. წარმოიდგინეთ, რომ ერთი  
„პოლუსილვან“ მეორემდის სწორე ჯოხია გატარებული და დედა-  
მიწა ტრიალებს ამ ჯოხზე სწორედ ისე, როგორც ეტლის თვალი  
ლერძნედ.

მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ დედა-მიწა თავის ლერძს გარდა, ტრიალებს აგრეთვე მზის გარეშემოც; დედა-მიწის ლერძზე ტრიალისაგან წარმოსდგრება დღე და ლამე; მზეს გარშემო—წელიწად.

შეგიძლიან, დათა, მითხრა:—რამდენჯერ უნდა შემოტრიალ-  
დეს დედა-მიწა თავის ლერძე, რომ მზეს გარშემო ერთხელ შე-  
მოუკაროს?

დათა დაფიქტლა, მაგრამ პასუხის მიცემა ეძნელებოდა.

— არა,— სოქვა მან ბოლოს, — არ ეიცი, მამა.

— იცი, — მიუვი მამამ, — მაგრამ ვერ მიგისაზრებია. რამდენი დღეა წელიწადში?

— სამას სამოც და ხუთი, — მიუვი დათამ.

— მაშასადამე, რამდენჯერ უნდა შემოტრიალდეს დედა-მიწა თავის ლერძე, რომ მზეს გარს შემოუაროს?

დათა დაფიქრდა, მაგრამ პასუხი კი ვერ მისცა.

— იცი კი, შენიშნა მამამ, — მაგრამ ვერ მიმხდარხარ, რამდენი დღეა წელიწადში?

— სამას სამოც და ხუთი — მიუვი დათამ მარდათ.

— აი, სწორედ მაგლენჯერ, ესე იგი სამას სამოცდა ხუთ ჯერ უნდა შემოტრიალდეს დედა-მიწა თავის ლერძე, რომ მზეს გარს შემოუაროს, ამასაც ნუ დაიერწყებთ, რომ დედა-მიწა არასოდეს არ მიიღებს ხოლმე ისეთ მდგომარეობას, რომ მის პოლუსებს მზე პირ-და-პირ უყურებდეს.

თქვენ, მგონია, შენიშნაედით, რომ დილითა და სალამოთი ისე არა თბილა, როგორც შუადლისას. ამის მიზეზი ის არის, რომ დი-ლითა და სალამოთი მზის სხივები ალმაცერად, გვერდიდგან ესე-მიან დედა-მიწას, შუადლისას კი პირ-და-პირ პოლუსებს არასოდეს არა ჰუნის მზე ნათელს ისე, როგორც დედა-მიწის დანარჩენ ნაწი-ლებს: პოლუსებზედ მზის სხივები სუსოველთვის ალმაცერად ესე-მიან, ამისათვის იქ, პოლუსებზედ, არა ცხელა ხოლმე ისე, როგორც დედა-მიწის იმ ნაწილზე, სადაც მზის სხივები პირ-და-პირ ეცემიან და, აი, სადაც მე შავი ხაზი გაეველე.

აბა, უყურეთ, დათა და ტასო, ბურთს, რომელიც წარმოად-გენს დედამიწას. დედამიწა ისე დაეყვნე და ვატრიალებ, რომ მზე შავ ხაზს, რომელსაც დედა-მიწის სარტყელი დაერქეით, სუ-სოველთვის პირ-და-პირ უყურებს; მაშ მიხედებით, რომ უველაზე ძალიან დედა-მიწის ამ ნაწილზე უნდა ცხელოდეს.

დედა-მიწა რომ ისეთ ნაირად მოძრაობდეს, რომ მისი ხაზი სუ-სოველთვის მზესა ჰქონდეს მიშვერილი, მაშინ დედა-მიწის უველა



ნაწილებზე გამუდმებით ერთი და იგივე წელიწადის დრო იქნება. დედა-მიწას შეუ.

ხაზის გარშემო იქნებოდა გამუდმებული ზაფხული, იმის აქტი-იქითა ადგილებში—გაზაფხული, შემდეგ ადგილები, სადაც განუწყვე-ტელი ზამთარი უნდა ყოფილიყო. ერთის სიტყვით, დედა-მიწაზე მარტო დღე ღამით და ღამე დღით შეიცვლებოდა; წლის დრონი კი ერთი და იგივე იქნებოდა ყველგან და ყოველთვის.

ეს კი, როგორც იცით, ასე არა ხდება. ჩეენში, როგორც დედა-მიწის სხეა ნაწილებშიაც, თავის დროზე ზაფხულიც არის, შე-მოდგომაც, ზამთარიც და გაზაფხულიც.

დედა-მიწის სარტყელი სუსოველთვის მზის პირ-და-პირ, არ არის ხოლმე. დედა-მიწის ხან ერთი მხარეა მზის პირ-და-პირ, ხან მეორე. ექვს თვეს დედა-მიწის ერთი ნახევარია მზისკენ მიქცეული, ექვს თვეს—მეორე, დედა-მიწის იმ ნაწილზედ, რომელიც მზეს უყუ-რებს პირ-და-პირ, ზაფხულია, ამ დროსევე მეორე ნახევარზედ—ზამ-თარია. ექვს თვეს ახლა იმ ნაწილზედ, რომელზედაც ეხლა ზაფხუ-ლი არის, ზამთარი იქნება, მეორეზედ — ზაფხული.

იმ ხაზებს, რომლებიც წერტილებით გავაცვებთ ბურთზედა და რუკაზე, ეძახიან მისაქცევა ხაზებს. ამ ხაზებს იმისათვის დაარქვეს ეს სახელი, რომ როცა დედა-მიწის რომელიმე ნაწილია მზისკენ მი-შვერილი, მაშინ მზის სხივები პირ-და-პირ ეცემიან დედა-მიწაზედ მხოლოდ ამ ხაზებამდის. დანარჩენ ადგილას, პოლიუსებამდის, მზის სხივი ალმაცერად ეცემა.

ერთის სიტყვით ეს ხაზები არის საზღვარი, რომლის იქითაც პოლუსამდე მზის სხივი ალმაცერად ეცემა. ამისათვის მისაქცევა ხაზ-სა და დედა-მიწის სარტყელ შეუ მდებარე ქეეყნები იშოდებიან ცხელ ქეეყნად.

იმ გარემოებას, რომ დედა-მიწის ხან ერთი მხარეა მზისაკენ მიქცეული, ხან — მეორე, ის მნიშვნელობაცა აქს, რომ ზაფხულში გრძელი დღეები იცის, ზამთარში მოკლე.

რომ უფრო უკედ გაიგოთ ესა, ყურადღება მიაქციეთ ბურთს,

რომელიც ისე მიჭირავს, რომ მისი ორივე პოლუსი ერთ მანძილზე არიან ლაშპარიდეან, თქვენ, რასაკეირველია, ამცნეთ, რომ ბურთის ნახევარია განათებული; ამ განათებულ ნახევარზედ ეხლა დღეა, ხოლო მეორეზედ — ლამე. მანამ დედა-მიწა ისეთ ნაირად სდგას, რომ შე სწორეთ მის სარტყლის პირ-და-პირ არის, დღე და ლამე თანა-სწორია, ე. ი. ჩეენშიაც და მთელი ცის ძირზე დღე და ლამე თორ-მეტ-თორმეტი საათია, რადგანაც დედა-მიწა თავის ლერძედ ერთ-ხელ შემოტრიალებას ოცდა ოთხს საათს უნდება.

მაშინ კი, როცა დედა-მიწის რომელიმე ნახევარი უფრო იქნება მზისკენ მიქცეული, როგორც ბურთზედაც გაჩვენებთ, — მაშინ ეს წესი იცელება. მზე დედა-მიწის ერთ-ერთ ნახევარს უფრო მეტად ათბობს და ანათებს, მინამ მეორეს; და რამდენადაც, მაგალი-თად, სამხრეთის ნახევარი მზისკენ მიიქცევა, ჩრდილოეთისა ნახევარზედ უფრო ხანგრძლივია დღე, მინამ სამხრეთისაზე. ეს ბურთზედაც კარგათ შევიძლიანთ გაარჩიოთ.

სარტყლის ახლო დღესა და ლამეში მაგლენი განსხვავება არ არის: დღეცა და ლამეც თითქმის თორმეტ-თორმეტი საათია სუყიველ-თვის. ჩრდილოეთისაკენ კი სულ სხვა არის: რამდენიც ჩრდილოეთისკენ მიზიდიხარ, იმდენი უფრო დიდია ხოლმე დღე ზაფხულში. როდესაც დედა-მიწის ჩრდილი ნახევარი უფროა მზისკენ მიქცეული და ისე სდგას, რომ მზის სხივები „მისაქცევ“ ხაზებს პირ-და-პირ ეცემიან (ეს მოხდება ხოლმე ათს თიბათევს). მაშინ ჩეენში ძალიან დიდი დღეებია ხოლმე; და ჩრდილოეთის პოლუსზე მზე სრულებით არ ჩადის: დღესა და ლამეს მარტო პატარა ბინდი ჰყოფს.

იმ დროს მზის სხივები დედა-მიწის ჩრდილო ნახევარზედ ალ-მაცერად ეცემიან და მაშინ ჩეენში ზაფხულია. მაშასაღამე, ათს იუნისს (თიბათევს) მზე პირ-და-პირ დაჰყურებს ჩრდილოეთის მიქცევის წესს.

მე ეხლა კიდევ შემოვატრიალებ ბურთს ისე, რომ მიქცევის წრის მაგიერ სარტყლის პირ-და-პირ იყოს სინათლე მიქცეული. უყურეთ: ჩდილო ნახევრის მცირედი ნაწილია განათებული; ამის-

თეის დღეც მოკლეა, რადგანაც მზის სხივები ჩრდილო ნახევარზედ ალმაცერად ეცემიან, და, რასაკეირეელია, იქ ეციება კიდეც.

11-ს სეკურეშერს (ენკრისთვეს), ესე იგი ულიდესი დღეებს სამს თვეს შემდეგ, მზე პირ-და-პირ სარტყელს დაჰყურებს, ესე იგი დღა-მიწა სარტყელით არის მზისკენ მიქცეული. ამ დროს დღე დათანა-სწორდება ჩეენშიაც და მთელ დედა-მიწაზედაც რამდენადაც სამხრე-თის ნახევარი მზისკენ იქნება მიქცეული, იმდენი ჩრდილოეთი მო-შორებულია მას (ძხეს), იმდენად ალმაცერად ეცემიან მზის სხივები ჩრდილოეთის ნახევარზედ, იმდენად ეციება იქ, იმ-ზენადევ მოკლე იქნება დღე და გრძელი ღამე. ამ დროს ჩრდილოეთის ნახევარ-ზედ არის ზამთარი და შემოდგომა; სამხრეთისაზე—გაზაფხული და ზაფხული.

12-ს დეკემბერს (ქრისტიშობისთვეს) სამხრეთის მიქცევის წრე მზის პირ-და-პარაა, მაშასადამე სამხრეთის პოლუსზე რამდენსამე თვეს დღე არის ხოლმე, პირიქით, ჩრდილოეთის პოლუსზე ამდენსამე სანს გასტანს ღამე.

— მთელს თვეებს გასტანს ხოლმე ღამე?!—გაიოცეს ყმაწვი-ლებმა—რას აკეთებენ მერე იმ დროს იქაური ხალხი. მზე მართლა არ ამოდის ხოლმე იქა?

— არ ამოდის, მაშ! თქენ კარგათა ხედავთ, რომ ბურთის ჩრდილოეთის ნახევარი სრულებით ბნელშია მაშინ, როდესაც სამ-ხრეთის ნახევარი განათებულია. ესევე ხდება სამხრეთის ნახევარზედ, როდესაც ჩრდილოეთის ნახევარია განათებული. ჩეენ, ეინც პოლუ-სებზედ ძალიან ახლო არა ცეცხლობთ, სრულებით არა გართ ხოლმე მზის სინათლეს მოკლებულნი, როგორც პოლუსების მცენერებნი, თუმცა 12-ს დეკემბერს ჩეენშიაც ძალიან მოკლეა და დღე გრძელი ღამე, და რადგანაც მზის სხივები ჩრდილოეთის ნახევარზედ უფრო ალ-მაცერად ეცემიან, მინავ სამხრეთისაზე, ამისათვის აცივდება ხოლმე კიდეც ჩეენში და ზამთარია.

იმ დროს, როდესაც სამხრეთის მიქცევის წრე მზისაკენ მიბრუნ-დება, დედა-მიწა თავის სარტყლით მიიქცევა ხოლმე მზისკენ. და

რამდენიც მჩე სარტყლისკებს გადაიხრება, იმდენი დღე გრძელდება სამხრეთის ნახევარზე, ასე, რომ ცხრას მარტს მთელს დედა-მიწაზედ დღე და ღამე თანასწორდება. ამ ღროს მჩის სხივები რამდენიც ხანი გადის, იმდენი პირ-და-პირ ეცემიან და დადგება გაზაფხული და ზაფხული, სამხრეთის ნახევარზედ კი ამ ღროს — შემოდგომა და ზამ-თარია.

ესლა მიხედებოდით, რისაგან წარმოსდგება წელიწადის ოთხი ღრო: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი; იყით აგრე-თვე ისიც, თუ რისაგანა ხდება ის, რომ ზაფხულში უფრო გრძელია დღე, მინამ ზამთარში.

ეს ყველა კარგი, — უთხრა დათამ მამას, — მ-გრამ პოლუსებზედ ცხოვრება როგორ შეიძლება, რომ იქ მჩე არ ამოდის და იმდენი ხანი გრძელდება ღამე? მე რაც უნდა მომცენ, იქ ვერ ვიტოვრებ.

— მართალია, — მიუგო მამამ, — ძნელია იქ ცხოვრება, მაგრამ ბევრნაირად საყურადღებოც კია ის ადგილები; შემდევ ბევრს კარგს რასმე გიამბობთ იმ ადგილებზედ.

— თუ პოლუსებთან მართლა მაგდენი ხანი არა ჩანს ხოლმე მჩე, — შენიშნა ტაომ, — მაშ იქ ძალიანაც ეციება.

— რასაკეიირველია, ძალიანა ცივა, — მიუგო მამამ. ყველაზედ ძალიან და მუდმივ მიქცევის წრეებ შუა თბილა. ნამდეილი ზამ-თარი და თოელი იქ შეუძლებელია, რადგანაც დედა-მიწა საითაც უნდა მიბრუნდეს, მჩე მაინც სარტყელს პირ-და-პირ დაჰყურებს.

— რადგანაც პოლუსები თაეის დღეში არ არიან ხოლმე მჩის პირ-და-პირ მიქცეულნი, როგორც სარტყელი და მიქცევის წრეები, ამისათეის იქ ძალიანა ცივა. ერთის სძეეს სარტყელსა და ჩრდილო პოლუსს შუა; ერთის სიტყვით, ისეთი ადგილი უჭირავს, რომ არც ძალიანა ცივა, არც ძალიანა ცხელა; ჩრდილო პოლუსის ახლო-მახლო ზაფხული ხან ძალიან მოკლეა; გრძელდება იქამდის, მანამ ჩრდილო მიმოქცევის წრე მჩისკენ არის მიქცეული. დანარჩენი ღრო იქ ზამთარია და საშინლად ცივა. იგივე ხდება სამხრეთის პოლ-უსზედაც.



ამით ვათავებ ჯერ-ჯერობით ჩემ საუბარს ჩრდილეთზე და სამხრეთზე.—აბა, ტასო! მითხარ: სად სძეეს ჩრდილოეთი?

— ჩრდილოეთი?—შეეკითხა ტასო,—ჩრდილოეთი, იქა სძეეს, სადაც ჩრდილოეთის პოლუსია.

— მართალია, მაგრამ, აბა, რუკაზედ მაჩენე.

— აი, მამა, აქ არის, ზევით.

— ძალიან კარგი. აბა, დათა, შენ სამხრეთი მაჩენე.

— სამხრეთი სარტყელთანა ძეეს, — მიუგო დათამ.

— მართალია, სარტყელი ჩენგან სამხრეთითა სძეეს, მაგრამ სამხრეთი სარტყელზედ კი არა ძეეს. შენ ისევე უნდა გეჩენებინა, როგორც ტასომ ჩრდილოეთი.

— მაშ თუ ევრეა, სამხრეთი სძეეს იქ, სადაც სამხრეთის პოლუსია,— მიუგო დათამ.

— ევრეა. მე ეხლა მინდა გითხრათ ის, თუ როგორ შეიძლება სამხრეთის პოვნა მზის შემწეობით. თქვენ იცით, რომ ჩენ ჩრდილოეთის ნახევარზედა ცეცხლობთ, რომ პოლუსები მზის პირ-და-პირ თავის დღეში არ არიან ხოლმე მიქაულნი; მაშასადამე, მზე ჩენგან სამხრეთით არის ხოლმე. შუა დღის ღროსაც არ დაგვაურებს ჩენ მზე პირ-და-პირ, როგორც სარტყელსა და მიმოქცევის წრებს; ის სუყოველთვის ჩენზე სამხრეთით არის. და რადგანაც დედა-მიწა ყოველთვის თანაბარათა ტრიალებს თავის ღერძზე და ერთსა და იმავე დროს უნდება შემოტრიალებას, ამისათვის შუადღისას მზე ძალიან მალმე და სამხრეთზედა სდგას.

თქვენ ეხლა შეგიძლიანთ ყოველი მხრის აღნიშვნა და გაგება. აღმოსავლეთია ის მხარე, საიდგანაც მზე ამოდის; დასავლეთი საითაც მზე ჩადის; სამხრეთი, სადაც მზე შუადღისასა სდგას, ჩრდილოეთი—ის მხარეა, სადაც მზე თავის დღეში არა ჩანს. აი, ამისათვის ეყანით იმ მხარებს აღმოსავლეთს, დასავლეთს, შუადღეს და შუალამეს.

თუ ვიცით რომელიმე მხარე, ამის შემწეობით ძალიან ადეილია დანარჩენი მხარეების პოვნაც. ამისათვის შეცნიერებმა მოიგო-

ნეს ერთხაირი იარალი, რომელსაც კომპასი ჰქვიან. კომპასი შესდგება პატარა რგეალი კოლოფისაგან, რომელსაც ზემოდგან მინა ხურავს. კოლოფის ძირზედ გამაგრებულია ნემსი; ამ ნემსს ამოცმული აქეს ადამანტიანი ისარი, რომელიც თავისუფლად მოძრაობს, ტრიალებს. საით მხარესაც გინდა მიატრიალო კოლოფი მარჯვნივ, გინდა მარცხნივ,—ისრის ერთი წვერი ჩრდილოეთისკენ მიიქცევა, მეორე — სამხრეთისკენ. ამ იარალის შემწეობით ძალიან ადვილი საპოვნელია ჩრდილოეთი, და რაკი ჩრდილოეთი გვეცოდინება, დანარჩენი მხარეების პოვნაც ადვილია.

— აბა, დათა, შეფიძლიან ამისსნა, როგორ იპოვი დანარჩენ მხარეებს?

— შემიძლიან,—მიუკო დათამ,—თუ ჩრდილოეთი მეცოდინება, სამხრეთის პოვნაც ადვილია: ის ჩრდილოეთის პირ-და-პირ სძეებს.

— მართალია. მე როგორც გითხარით, ყოველი რუკა ისე იხატება, რომ ჩრდილოეთი ზეეით არის ხოლმე მოქცეული, მაშასადამე, სამხრეთი ძირს იქნება. აღმოსავლეთი საით მხარესდა იქნება?

— აღმოსავლეთი—მარჯვნივ იქნება, — მიუკო ტასომ.

— ძალიან კარგი.

— დასავლეთი მარცხნივ,—დაუზატა დათამ.

— მაშ თუ ეკ ეგრეა, შუადლისას რომ მზისკენ ჰქმნათ პირი, ზურგს უკან რომელი მხარე იქნება, ან მარჯვნივ და ან მარცხნივ?

— აღმოსავლეთი იქნება იქით, საიდგანაც მზე ამოდის,—ე. ი. მარცხნივ,—მიუკო დათამ, — დასავლეთი—მარჯვნივ.

— და თუ აღმოსავლეთისკენა ვქენი პირი,—სიტყვა გააწყვეტინა ტასომ,—მაშინ მარჯვნივ იქნება სამხრეთი, მარცხნივ—ჩრდილოეთი.

— კარგი და კეთილი,—მოუწონა მამამ,—აბა ახლა შენ მითხარ, დათა,—შენ რომელი მხარელა გექნება მარჯვნივ, დასავლეთისკენ; რომ მიბრუნდე?

— ჩრდილოეთი. ეხლა ეს ძალიან კარგათ ეიცით, მამა,—უთხა დათამ სიცილით,—შეფიძლიან ეს აღარ გვკითხო.

— ეგ მართალია, მაგრამ ერთი რამ არ ეიცით კიდევ ამის შესახებ და იმის ცოდნაც საჭიროა. როდესაც რუქას უყურებთ, ხედავთ, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შუა, ანუ აღმოსაელეთსა და დასაელეთს შუა ძევს კარგა მოზრდილი მანძილი, რომლის გა-გებაც ძალიან ადეილია. მაგალითად, იმ ცის კიდურის ნაწილს, რომელიც აღმოსაელეთსა და დასაელეთს შუა ძევს, ჰქვიან ჩრდილოეთ—აღმოსაელეთი,

ეხლა, მე მვონია, თქვენ თეითონ შევეძლიანთ დამისახელოთ, რა ჰქვიან იმ ნაწილს, რომელიც დასაელეთსა და ჩრდილოეთს შუა ძევს.

— ჩრდილოეთ-დასაელეთი, — წამოიძახა დათამ.

— იმ ნაწილს, რომელიც დასაელეთსა და სამხრეთს შუა ძევს?

— სამხრეთ-დასაელეთი.

— კარგი! სამხრეთსა და აღმოსაელეთს შუა?

— სამხრეთ-აღმოსაელეთი, — მიუგო ტასომ.

— ძალიან კარგი! — ალექსინათ მოუწონა მამამ. — დღეს ეს ვიტაროთ: ცოტა გვიან არის. თქვენი ძილის დროა. ხეალ დილით ადექით იმ დროს, როდესაც მზე ამოეიდეს აღმოსაელეთიდგან, და, როდესაც სამხრეთზედ იქნება, სასეირნოდ წაეიდეთ.

ერ. ბაქრაძე



## ჭ ე რ ა პ ლ ი

(შემდეგი\*)

**კ** ყო ერთი საკვირველი დევ-გმირი, სახელად ანთეოზ, შეი-  
ლი დედა-მიწისა. როგორც კი შექვედებოდა ეისმე ძლიერ  
ლონიერს, იმ წამსვე დაუჭიდებოდა, დასცემდა და მოჰკ-  
ლავდა. ბევრთან ჰქონებია ანთეოზს ბრძოლა და ყოველ-  
თვის გამარჯვებული დარჩენილა; მისი მძლეველი არსაითა სჩანდა.  
თუ იშვიათად ვინმე გამოჩნდებოდა იმასავით ლონიერი და წაქცევდა  
მას, ანთეოს დაეცემოდა მიწაზე თუ არა, ერთი-ორად უფრო მეტს  
ლონებს მოიცემდა დედა-მიწისაგან, წამონტებოდა ზეზე, ხელ-ახლად  
შეებმოდა და უთუოდ დამარტებდა. დედა-მიწა ერთგული იყო  
თავის შეიღლის ანთეოზისა და ყოველს შეხებაზე ძალას უმატებ-  
და მას.

ერთხელ შეიბნენ ანთეოზ და ჰერაკლი. კაი ხანს იბრძოლეს.  
სძლია ჰერაკლიმ და დასცა რამდენიმეჯერ, მაგრამ ანთეოზ ხელ-  
ახლად წამონტებოდა და კიდევ უფრო ლონიერად დაეტაკებოდა  
ხოლმე. ბოლოს მიუხედა ჰერაკლი საიდუმლოს: მოჰკიდა მარჯვედ  
ხელი და ციფ-ციფ აიყვანა მაღლა, მიწაზე სულაც აღარ დაადგმე.  
ვინა ფეხები. მაშინ უსუსტა ანთეოზს ლონებ, ასე ციფად აყეანილ  
მოუჭირა ჰერაკლიმ ხელი და სული ამოახდინა.

იმ ქვეყანაში, საღაც ჰერაკლისა და ანთეოზს ბრძოლა ჰქონდათ,  
სცხოვრობდნენ ერთი ნამცეცა ადამიანები, ჯუჯა კაცები, რომელ-  
ნიც ემორჩილებოდნენ ანთეოზს. დიდი მწყალობელი იყო მათი ან-  
თეოზი: იგი იფარავდა მათ დაუძინებელის მტრებისგან, წეროე-  
ბისგან, რომელთაგან სიცოცხლე ჰქონდათ გაჭირვებული. ჯუჯა-კა-  
ცებიც ერთგულნი იყენენ მისი და ცდილობდნენ მის სამსახურს და  
სიამოვნებას. ამიტომ ძლიერ შეაწუხა ეს წერილი ხალხი ანთეოზის

\*) იხილე „ჯვარილი“-ს მე-5 პ-რი.

სიკედილმა; როგორც კი შეიტყვეს ეს ამბავი, ყველანი შეიკრიბნენ და ცხარე ცრმლით სტიროდნენ თავის მფარველის დაკარგვას.

ჰერაკლი მეტად დაიღალა ანთეოზთან ჭიდაობით და, როდესაც სძლია იგი, დაწეა და ლრმა ძილს მიეცა. ამ დროს ჯუჯა კაცებმა რჩევა გამართეს,—რა ეუყოთ ჰერაკლის, სამაგიერო როგორ გადა-ეუხადოთ. იფიქრეს, იბასეს და ბოლოს ასე გარდაწყვიტეს: „ლო-ნით ჩენ იმას ვერაფერს დავაკლებთ,—შეიძლება ერთის ფეხის და-დგმით სულ ყველანი გაგესრისოსო, და ისა სჯობია, რომ მძინარეს მიეკაროთ, ცხეირ-პირი გამოეუტენოთ ბაშბითა და ნაძენძებით და დაეახნოთ, მოგროვდა აუარებელი ჯუჯა ხალხი, შეიარაღებული ფარ-შუბებით; მოიტანეს ბაშბა და ნაძენძები, გარს შემოეხეივნენ ჰერაკლის და იწყეს იმის მყერდზე ასელა.

სასაცილო რამ სანა-  
ხაეი იყო: კაცი იფიქ-  
რებდა, პაწია ბოე-  
შვები ადიან დიდს  
უზარ-მაზარ მთა-  
ზეო; ერთის ქშენი-  
თა და ვაი-ვაგლა-  
ხით მობობდავდნენ  
მალლა. ბოლოს,  
როგორც იყო, ავი-  
დნენ გმირის მკერ-  
დზე და დაიწყეს მუ-  
შაობა, მაგრამ იმის-  
თანა თქვენს მტერს,  
იმათ საქმე მოუვი-  
დათ!



ისეთ ნაირად  
ფშეინავდა ჰერაკლი, რომ გევონებოდა საოცარი ქარიშხალი ამო-  
ვარდნილა, რომელიც ყველაფერს გლეჯს და ამტვრევსო. ყოველ

მის ამოსუნთქვაზე პანტასავით ცეიოდნენ ძირს ჯუჯა კაცები. ბამ-ბასა და ნაძენძენს აბა რაღა დააყენებდა ჰერაკლის ნესტოებში და პირში. რომელსაც კი მოხვდა ცხეირის ნესტოებიდვან გამონასრო-ლი ბაშბა-ნაძენძი, ვერც ერთი თავის ალაკას ველარ დამაგრდა: სულ ყირამალა გადმოდიოდა ძირს და თაე-პირს იმტკრევედა.

მერე რომ ველარაფერი გააწყვეს, გარდასწყვიტეს, დაესწეათო. ამ აზრით მოაგროვეს ბევრი შეშა და თივა, შემოაწყეს გარშემო და წაუკიდეს ცეცხლი. აი, მხოლოდ ახლა იგრძნო ჰერაკლიმ, რომ რა-ლაც ამშავია და გამოილება. წამოდგა ფტზე და რა დაინახა, გარს ახვევია რაღაც წერილ-წერილი აღამიანები, თითო გოჯის სი-გრძე, ძალიან გააკეირვა ჰერაკლი ამ ხალხის გულადობაში: თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, თუ ამისთანა ჯუჯა კაცები რასმე გაჰე-ლავდნენ მის წინააღმდეგ. მოუსეა ხელი და ერთი ხელის მოსმით მთელი ლაშქარი მუჭაში გამოიმწყედია. მერე შეუკრა ხელ-ფეხი, დაჲკიდა ყელანი ერთს გრძელს ჯობზე, მხარზე გაიდეა და წაეიდა თავისთვის. ამ მდგომარეობაში რომ იყვნენ ჯუჯა-კაცები, ისე ხეან-ცალობდნენ, რომ სიცილი მოჰვერეს ჰერაკლის და კარგს გუნება-ზე დააყენეს. მაშინ ჰერაკლიმ აპატივა მათ თავხედობა და თავისუფ-ლება მიანიჭა. ჯუჯა-კაცები შეეხევწენენ ჰერაკლის, რადგან სიცოცხ-ლე გვაჩუქე, ერთი წყალობა კიდევ გვიყავით, — წეროებისაგან და-გვიხსენი, რომელთავან დამწარებული გვაქეს წუთის სოფელიო.

ჰერაკლიმ შეიწყნარა მათი თხოვნა, წავიდა იქ, საღაც წეროები ბუდობდნენ და მთელი გუნდი ამოსწყვიტა, რომელიც შესდგებოდა რამდენისამე ათასისაგან. ჯუჯა-ხალხმა მადლობა გამოუტადა ჰერაკ-ლის და დიდი წვეულებაც გამართა მის პატივსაცემლად, მაგრამ ხათაბალა ის იყო, რომ ვერაფრის გზით გაძლომა ვერ მოუხერხეს თავის სტუმარს. რამდენიმე ასი კაცი მარტო ჰერაკლის ემსახურე-ბოდა; სულ ორივე ხელებით აყრიდნენ პირში საჭმელს, მაგრამ მის ამოპირეას არა გაეწყო-რა.

საბერძნეთის ერთს დიდ კუნძულზე, სახელდობ ევბეაზე, იყო ქალაქი ეხალია. ამ ქალაქის მეფე, სახელად ეერითი, ისე კარგად



ისროდა ისარს, რომ მისი სახელი განთქმული იყო, როგორც ჩინებული შშეილდოსნისა. გაფებიც კარგი შშეილდოსნები ჰყავდა. ერთხერლ გამოატადა ეფექტ მეფემ, ვინც შშეილდ-ისრის ხმარებაში მომიგებს და უფრო შეორს მოარტყაშს მიზანში, იმს მიესცემ ჩიმს გშევნიერს ქალს იოლასაო. ჰერაკლიმ რომ შეიტყო ეს ამბავი, წავიდა და ესტუმრა ეფრითს.

გაეჯიბრენ ერთმანერთს ჰერაკლი და ეფრითი. გამარჯვება ჰერაკლის დარჩა, მაგრამ ეფრით მეფემ უმტყუნა მას, პირობა აღარ აუსრულა. ამ გვარი საქუიელი ძლიერ საწყენად დაურჩა ჰერაკლის, რადგან თითონ იგი პირიანი კაცი იყო და თუ სიტყვას მისცემდა ეისმე, მტყუნება შეუძლებელი იყო. ჰერაკლის უნდოდა მაშინეე ჯავრი ამოეყარა ეფრითისა და კარგად დაესაჯა იგი უპირულობისათვის, მაგრამ როგორც იყო თავი შეიკავა. გაეიდა რამდენიმე ხანი.

ერთხელ ეფრითის, ვაჟი, იფიტი, მოეიდა ჰერაკლისთან და უთხრა, რომ მამა ჩიმს ხარები დაეკარგა და იქნება მომაძებნიოა. ჰერაკლი და იფიტი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ჰერაკლიმ უთხრა. კარგი მოგეხმარებიო, და წავიდნენ ხარების საძებრად. პირველად ქალაქის გალავანზე ავიდნენ, რომ იქითვან გადაეხედათ, ხომ არსად სჩანს ხარებიო. ამ დროს მოაგონდა ჰერაკლის ეფრით მეფის საქუიელი, ძალაინ აღელდა, ჰერა ხელი იფიტს და გადააგდო გალავნითვან. იფიტმა თავი გაიტეხა და მოკედა. ამაზე განრისხდა ზეევსი და ჰერაკლი ძლიერ ავად შეიქნა ცხელებით.

ამ ავადმყოფობაში გაგიდა კიდეც და გაიქცა ქალაქს დელფს საკითხავად, როგორ მოეიქცე, რომ დანაშაულობა მოეინანო და მოერჩეო. პითამ უთხრა: სამი წელიწადი კიდევ უნდა გაატარო მონობაში და მაშინ გაიწმინდები ცოდვისაგან და კარგადაც შეიქნებიო. ჰერაკლი წავიდა და ეყმო ლიდიის დედოფალს—ომფალას, სამის წლის ვადით\*)

\*) ლიდია მდებარებდა მცირე აზიის ნახევარ კუნძულზე.

სამი წელიწადი რომ გავიდა, ჰერაკლი თავისუფალი შეიქნა და ხელახლად იწყო გმირული ცხოვრება. კალიდონის ქალაქის მეფეს ენეის ჰყავდა შშეენიერი ქალი დეანირა. ჰერაკლიმ მოინდომა დეანირას ცოლად შერთვა, როდესაც მეუღლე მისი—მეგარა—გარდაიცვალა, მაგრამ მოცილედ გამოუჩნდა მას ერთი მდინაროს მეფე, სახელად ახელოუსი: ამას უნდოდა დეანირას შერთვა. მოცილეებმა არჩიეს, როგორ გარდაეწყეოტოთ ეს სადაო საქმეო, და ბოლოს ასე სთქვეს: „შეებათ ერთმანეთს და ვინც გაიმარჯეოს, დეანირაც იმას ჰყავდესო!“

შეიძნენ ჰერაკლი და ახელოუსი. კარგა ხნის ბრძოლას შემდეგ ჰერაკლიმ სძლია ახელოუსი და დასცა ძირს. დაეცა თუ არა ახელოუსი ძირს, მაშინვე გველად გარდაიქცა, დაიწყო სისინი, პირი დააღმ და უნდოდა ეყბინა ჰერაკლისათვის. ჰერაკლიმ შესძახა: „განა არ იყი, რომ მე გველის არ მეშინია! ძუძუ მწოვარი ბავშვი არ ეიყავი, რომ ორი გველი დაეახჩე! მერე ცხრა თავიანი ჰიდრა მოეკალი! შენი როგორ შემეშინდებაო!“

ამ სიტყვებით სტაცა გველს ხელი. მაშინ გველი დიდუშველებელ ხარად გარდაიქცა და რქენა დაუწყო ჰერაკლის. ჰერაკლიმ სტაცა რქებში ხელი და ერთი რქა მოსტეხა. მაშინ დაემორჩილა ახელოუსი და დაუთმო მას დეანირა. ჰერაკლიმ აიყვანა დეანირა და წავიდა საცხოვრებლად ქალაქს ტრასინს, თესალიაში\*). გზაზე მიაღწნენ ერთს მდინარეს. რომელიც ძლიერ ადიდებული იყო წვიმებისაგან. მდინარეზე ხიდი არ იყო, მაგრამ იქ ერთი ნესსოს ცენტრალური ცხოვრობდა, რომელსაც გაჰყავდა ხოლმე მსურველები ამ მდინარეში; ვინც გასამჯელოს მისცემდა, ცენტრალი შეისვამდა მას ზურგზე და გაიყვანდა გალმა.

ჰერაკლიმ უთხრა ნესსოსს, დეანირა შენ შეისეი ზურგზე და გაიყვანეო და მე თითოონ გამოვალო.

ჰერაკლი ჩაეიდა წყალში და გავიდა კიდეც მეორე ნაპირს; რომ გავიდა, მოხედა უკან და რას ხედავს! ნესსოს მოუხვევია ხელი

\* ) საბერძნეთის ნაწილი იყო.

დეანირასათვის და მირბის ოოფორტ შეუძლია. გაჯაერდა მაშინ ჰერაკლი, ესროლა ცენტრაერს ჰიდრის ლეიილში ამოელებული ისარი და დასჭრა. ნესსოსმა მალე სული დალია, როდესაც კვდებოდა, საიდუმლოდ უთხრა დეანირას, ცოტა ჩემი ჭრილობითგან გამონა-დენი სისხლი შეინახე და, თუ როდისმე ჰერაკლის გული გაუგრილ-დეს შენზე და აღარ უყვარდე, ეს სისხლი აპკურე მის ტანისამოსს და ისევ ძლიერ შეგიყვარებსო. საწყალს დეანირას მართალი ეგონა; ფიქრადაც არ მოსვლია, თუ ბოროტ ცენტრაერს ამ საშვალებით ჯავრის ამოყრა უნდოდა ჰერაკლისა.

\* \* \*

დიდხანს ცხოვრობდა ჰერაკლი ქალაქს ტრახინს ცოლშეილია-ნად და ჩეულებრივად ატარებდა თაეს სიცოცხლეს: მუდამ საქმე-ში იყო, მუდამ მიმოდიოდა სხეა-და-სხეა ადგილებში, საწყლებს ჰშვე-ლოდა და ბოროტ აღამიანებს სასჯელს აყნებდა.

პარნასისა და ეტას მთებს შორის ხეობებში სცხოვრობდა ერ-თი პატარა შხნე ხალხი—დორელები, რომელიც ძლიერ შეწუხებუ-ლი იყო მეორე ხალხისაგან—დრიონებისაგან. დრიონები რიცხეით ბერნი იყვნენ და სჩაგრავდნენ დორელებს. დორელების მეფეს გა-გონილი ჰქონდა ჰერაკლის გულკეთილობა და შეკლა სოხოეა. ჰერა-კლი დიდის სიხარულით მიეშველა დორელებს და ისე დაამარცა დრიონები, რომ ის დღე თან მიურთეს და მეორეთ დორელებისა-თვის აღარა უწყენინებიათ-რა. დორელების მეფე—ეგიმი, მოხუცი იყო და უშეილო; ამიტომ უბრძანა მან თაეის ხალხს, რომ ჩემს შემდეგ უთუოდ ჰერაკლი გაამეფეთო. დორელებს ძლიერ ესიამოე-ნათ ეს და შზად იყვნენ აღსრულებაში მოეყვანათ თაეის მეფის ბძანება.

ამას შემდევ ჰერაკლიმ გამოუცხადა ბერძნებს, რომ საომრად მიედივარ და გამოდითო. შეიკრიბნენ საბერძნეთის სხეა-და-სხეა კუთხიდგან სულ რჩეულ-რჩეული ვაჟკაცები. დიდალი ჯარი მო-გროვდა. ჰერაკლი გაუძღვა ლაშქარს და წავიდა ევბეს კუნძულზე ევრით მეფესთან საბრძოლველად. დამარცხდა ევრითი და აიღეს ქა-

ლაქი ეხალია. თითონ ეერითი და მეორე ვაჟი მისი ამ ოშში დაიხუნენ. ბევრი ტყვე წამოიყანა ჰერაკლიმ ეხალიიდგან და იმათ შორის იყო ეერითის ქალიც, შშეენიერი იოლა. ჰერაკლი ცოლად ჰეიქრობდა იოლას თავის უფროსი ვაჟის გულისათვის. ტყვეები წინ-დაწინ გაგზავნა ტრახინს და თითონ უკან ჩამორჩა, რომ სამადლო-ბელი მსხვერპლი შეეწირა ღვთისათვის. ეიღაც ბოროტმა ადამიანმა დეანირას ტყუილი ამბავი მიუტანა, რომ ჰერაკლის შენ აღარ უყვარ-ხარ და იოლა უნდა ცოლად შეირთოსო. მაშინ მოაგონდა დეანი-რას ნესსოს თილისმა და განიჩრახა მისი ხმარება.

ძელად ჩეველება ჰქონდათ, რომ მსხვერპლის შეწირების დროს სუფთა თეთრი ტანისამოსი უნდა სცმოდათ და არა ის, რომელიც ოშში ნაცეამი და გასისხლიანებული იყო. ჰერაკლიმ გაგზავნა ცოლ-თან კაცი და შეუთეალა სუფთა ტანისამოსი გამომიგზავნეო. დე-ნირამ აკეურა ჰერაკლის ტანისამოსს საიდუმლო წამალი და გამო-უგზავნა. ჩაიცა გმირმა ახალი ტანისამოსი. როგორც-კი გათბა ტა-ნისამოსი, სხეულს მიეკრა, საოცრად დაუწყო წვა და დაგვა. იმ ზომამდის გაამწარა გმირი ტკივილებმა, რომ სულ შემოითხრიშა ტანისამოსი და ამ დროს საკუთარ ხორცსაც იგლეჯდა სიმწარით. საწამლავი თანდათან ერეოდა და მშეელელი არაეინ იყო. დეანი-რამ რომ ეს ამბავი შეიტყო, თავი მოიკლა. ჰერაკლი ატყობდა, რომ აღსასრული მოახლოვებული იყო. თითონვე მოსჭრა ხეები, მოაგროვა შეშა, გააკეთა კოცონი და დაწვა ზედ. ამ დროს მეგო-ბრები გარს ეხეინენ მას და ტიროდნენ: ჰედაელნენ, რომ მათი საყვარელი გმირი საუკუნოდ ესალმებოდა ამ ქვეყანას.

იქვე იყო ჰერაკლის ვაჟიც, გილდოსი. ჰერაკლიმ სთხოეა მე-გობრებს, წაუკიდეთ კოცონს ცეცხლი და დამწვითო\*).

ყველას ემძიმებოდა მისი სიკედილი და ამიტომ ეერაეინ აასრუ-ლა თხოენა. ბოლოს ერთმა მისის მეგობრის შეილმა — ფილოკტეტმა,

\* ) ერთს დროს საბერძნეთში მიცვალებულების დასაფლავება იმაში ჰქონდა მარეობდა, რომ დასწვავდნენ ხოლმე მიცვალებულებს კოცონზე, ფერფლს ჩა-ჰქონდნენ ერთნაირს ჭურჭელში — ურნაში და შეინახავდნენ აკლდამაში.

რომელიც ყველაფერში გამგონე იყო ჰერაკლისა, წაუკიდა კოცონს ცეცხლი, თუმცა ამისთვისაც ძლიერ სამხიმო იყო გმირის უკანას-კნელი თხოვნის ასრულება.

როდესაც მოედო  
კოცონს ცეცხლი, სა-  
ოცარი ქარიშხალი და  
ჰექა-ჸუხილი ასტყდა.  
ამ ღრის ციდგან ჩა-  
მოეშვა ლრუბელი და  
ალიტაცა ჰერაკლის  
სული მაღლა ოლიმ-  
პის მთაზე, სადაც სუ-  
ფელნენ ზევესი და  
სხვანი უკედავი. ჰე-  
რაკლის სხეული ჩან-  
თქა ცეცხლმა, მაგრამ  
მისი სული-კი, აყვა-  
ნილი ოლიმპზე, უკვ-  
დავი შეიქნა და ზევსის  
წყალობით გაღმერთ-  
და.



ამას შემდეგ აღარაფერი მწუხარება არ შეჰვედორა ჰერაკლის, მუდამ ნეტარებაში იყო. დანარჩენ ღმერთებსაც ძლიერ გაუხარდათ ჰერაკლის ოლიმპზე ასვლა; ასე გასინჯეთ, ჰერაც-კი შეურიგდა მას და შეაულდა მასთან თავისი მშენიერი ქალი ჰება.

ასე დაგვირგეინდა ჰერაკლის ღვაწლი: იგი დაუვიწეარი შეიქნა არა მარტო საბერძნეთში, არამედ მთელს ქვეყანაზეაც, მიტომ-რომ ბევრი სიკეთე დაპირება, ბევრს დაჩაგრულს მისცა შევლა და სარ-გებლობა მოუტანა ხალხს.

ალექსი ჭიჭინაძე

უდროვთ ტრაბასობა

**О**ავგუსტა იჯდა საკუჭნაოში ტილოს ტომარასთან უურებ გაცემეტილი და ღრღნიდა ხორბლის მარცვალს ძისგანვე გასრულ ტომრიდამ. ჯერ ერთი მარცვალი მიირთვა, მერე მეორე, მერე მესამე და აგერ მეათესაც მიადგა. როდესაც კარგა მიაძლა, ახტა კიდობანსედ, ზედ დასკუპდა და ქმაყოფილი თვალით გარდახედა საკუჭნაოს და წამოიძახა:

— ჩემისთანა ეობალი და გამჭრიახი განა მოიპოვება ჭინძე! საკუჭნაოს კარები დიდი კლიტით დაკლიტულია, შიგ კარებში ღრენია ქოფაკი მაღლი გამოტილია, ხორბლიანი ტომარა მაგრად არის შეკრილი და მეგი გამოვძელი.

თავგუსტის ტრაბასობას შემდეგ დიდი სანი არ გამოსულა, რომ ერთბაშად თავგუსტის თვალები დაუბნელდა და ვიდამაც კლანჭებში იგდო.

ცოტა სანს შემდეგ კატა ახრამუნებდა ჩვენ საბოლოო თავგუსტის.

— არა და რა უხაროდა! — ღრუტუნით ამბობდა გამძღვარი გატა: — მე რომ მოძქონდეს თავი ეგ სულ სხვაა, რადგან მე ვარ ამ სახლის ნაძვიილი ბატონი.

ამ დროს საკუჭნაოს კარი რიდასათვისაც გაადეს და მავი მეტებარი მაღლი შევარდა საკუჭნაოში. დაინახა თუ არა ბნელ კუნტულში კატის ბრჭყვილა თვალები, გამოუდგა დასაჭერად. შემინებული კატა გავარდა გარედ, რის უოფით თავი დაახწია იმითი, რომ სახლს მაღლა სახურავში მიიმალა.

— ხედავთ ამ მშიალასაც თავი როგორ მოაქვს, — წაილოინა მაღლმა, — აბა რა ამის საქმეა ბატონობა, ბატონი აქ მე ვარ და სხვა არავინა!

ტრეზორა, — ასე ერქვა მაღლს, — კუდის ქნევით, მხიარულად გაფარდა გარედ, გადახტა ღობეს და დაიწეო სირბილი ლამაზად ამწვანებულ მინდორზედ. იქ ბალას სძოვდა ერთი შევენიერი ცხენი, თანაც თავისუფლად დახტოდა, ნესტოები გაჭიროდა და თავი მაღლა ეჭირა.

— ერთი ქსეც შევაშინო, — გაიფიქრა მაღლმა და უეფით გამოუდგა ცხენს. ცხენი უკრიად შედგა, ერთი ისეთი წისლი ჰქონდა, რომ საბრალო ტრეზორა უსულოდ დაეცა მიწაზედ.

— ვის ეთამაშებოდი, რომ ეთამაშებოდი! — წაიხვიხვინა ცხენმა და ზიზდით შეიბერტეა თავისი მშვინიერი ფაფარი. ჩემზედ ძლიერი პირუტევი განა ვინმე იქმნება! სირბილუმიაც მარდი ვარ და ღონეც დიდი მაქვს.

მხიარულად მოჰქვა ჭენებას და ვერ შეამჩნა, როგორ შექენებულიეო დაბურულ ტექში. იქ უკრიად წინ შეეჭითა ბირ დაღრენილი და თვალებ ბრიალა ლომი, ერთ წამს მივარდა ცხენს, დაასალა მიწაზედ და გადუევრისა კისერი.

— შე სულელო პირუტევო! დაუღრიალა ლომბა ისეთი სახარელი სმით, რომ დედასმიწას ზარზარი დააწეუბინა, — შე უნდა ჩემობდე უფროსობას, შე ტრაბასო! შეიტეპ, მეფე მე ვარ პირუტევებისაც და ბუნებისაც.

ამ დროს ლომს შიგ შებლში მოხვდა ტექია და ცხენის ძვლების გვერდით გაიშოტა.

ბუნების და პირუტევების მეფე — მონადირე კაცი გამოვიდა ბუჩქებიდამ, ლომს გააძრო ტექავი, მხარზედ გადიგდო, შეუდგა გზას და თანაც ფიქრობდა:

— რა დროს კვეჩნა იუო, ის დალოცვილი რომ იკვენდოდა! აგრე ჩემზედ უდიდესიც სომ არის ვინმე!



მაიმუნის სამართალი

• გ ვ ვ •

ო რა კატამ მოიპარეს ორი კბილა ყველი, მაგრამ ერთი ყველი მეორეზედ უფრო დიდი იყო და ორივენი სწორედ იმას იჩევდენ.

რომ ეერ მორიგდენ, მაიმუნს სთხოვეს, — გაგდესამართლეო!

— რა საბუთით ითხოვ შენ დიდ ყველს! ჰყითხა მაიმუნმა ჯერ ერთ კატას.

პასუხად მოესმა თორმეტიოდჯერ ზედ მიყოლით „მიაუ“!

— შენ რაღა საბუთი გაქვეს! ჰყითხა მაიმუნმა ახლა მეორე კატას.

ამანაც პასუხად ერთი თორმეტჯერ უთხრა „მიაუ“!

— ორივეს თქვენ ერთი და იგივე საბუთი გქონიათ და რადგან უსამართლო იქნება, რომ ერთს დიდი მოგცეთ და მეორეს პატარა, სხვა გზა არ არი, — ყველს უნდა ჩამოვაჭრა, რომ გაეთანასწორო.

თქვა და აასრულა.

ახლა ორივე ყველი გათანასწორდა, მაგრამ მაიმუნი დააცქერდა ყველს და სთქვა:

— თვალმა მომატყუა, ახლა მეორე შეიქნა მძიმე, ამასაც უნდა ჩამოვათალო ნაკერი.

— კიდევ ეერ გათანასწორდა, — სთქვა მაიმუნმა, ახლა მეორე არის დიდი, ამასაც ჩამოვათლი ნაკერს.

და ასე მოჰყუა მაიმუნი, ხან ერთს ყველს მოჰკდებდა და ხან მეორეს, სანამ თითო ბეწო არ დარჩა.

მაშინ კი დაძმობილებულმა კატებმა შეშინებული წარმოიძახეს:

— კმარა, კმარა! რაც დარჩა, ის მაინც მოვვეცი!

— რაც დარჩა ის მე უნდა მერგოს ჯაფისთვის, რადგან გაგდესა-მართლეოთ, სთქვა მაიმუნმა და ორივე ნაკერი უცებ გადაყლაპა.

კატებმა გაოცებით შეხედს, მერე ნალელიანად დადგნენ თავ-თაეგიანთ გზას და თან ფიქრობდენ: არ ჯობდა ერთმანეთში მოერიგე-ბულვიყავით, სულ ცარიელ დარჩენას?...



## ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(გურამიანიძამ)

1. ჭკუის უკეთესი საქონლად არა რა საქონელია.
2. ჯერ მწარე ჭამე, კელავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.
3. ცუდა მეოცეზეს შერჩება უბრალო წყალთა მღვრევანი.

## გ ა მ თ ც ა ნ ე ბ ი

ერთი რამ ქვეყნად მავალი, უცხო და საკვირველია,  
 ხან აქ გაჩნდება, ხან იქა, სულ დადის გზა-ნათელია;  
 იკი ზრდის ერსა და ბერსა, უმისოდ ქვეყნად ბნელია,  
 ვინც გამოიცნობს, იგიცა მისივე მაძებნელია.

(ჭარმოლებენილი ლევანისაგან)

მიერბივარ და მიერინინობ, ვერ დამეწევა ფრინველი,  
 ხან ტყეს გადეირბენ, ხან ლრესა, არ მომირჩება მთა-ველი;  
 ხან-და-ხან კიდეც ვისვენებ, წინ-და-წინ გამაქეს წივილი.  
 თუ დროზე მოვლენ, წაეიყვან, თუ არა, ნუ აქვთ ჩივილი.

## ს ა მ ა თ ე მ ა თ ი კ ო გ ა მ თ ც ა ნ ე ბ ი

(ჭარმოლებენილი გ. ჯულელისაგან)

ერთმა ბატონშა მისცა თავის მსახურს ათი მანათი (10 ბ.), რომ-  
 ლითაც უნდა ეყიდა კუერცხები, ქათმები და ბატები. სულ რიცხვით

უნდა ყოფილიყო, ყელა ერთიანად, ასი თავი (100). კერძოში უნდა მიეცა თითო კაპეიკი, ქათაში თითო აბაზი, ბატში ორ-ორი აბაზი. გამოიცანით ათ მანათათ რამდენი კერძოში, ქათაში და ბატი მოუ-ეიღოდათ?

(წარმოდგენილი გ. ფირალოვისაგან)

ორი მეზაერი მიღიოდა. ნახეს ერთი ლეინით საესე ქვევრი. სულ იყო შიგ რვა თუნგი; უნდოდათ თანასწორად გაეყოთ, მაგრამ ერთს ჰქონდა ხუთ თუნგიანი საწყაერ, მეორეს სამ თუნგიანი. აბა, როგორ გაიყვეს, თუ ერთმა ხუთ-თუნგიანით წაილო ლეინო და მეორემ ქვევრით?

ჩქარა—გამოსათქმელი

(წარმოდგენილი გაბ. ფირალოვისაგან)

ჩემი ჯაყა მახანთილი, შენსა ჯაყას მახანთილსა, რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ეჯაყე-მახანთილებოდა.

ა ნ ა გ რ ა მ ა

ექვსის ასოსგან შედგები, ამბებს გეტყვი ყოველ დღესა,  
თუ უკულმა წამიკითხაე, აირევი გამოდისა.

ე ბ ი ტ ე ზ ი ს ი

ს-ფ-ლ-ე-ნ-ხ-ძ-ლ-ლ-შ-გ-გ-ე-რ-ჯ-ხ-.

შ ა რ ა დ ა

პირველი ჩემი სიტყვაა სახელი ჩენის ძიძისა,  
მეორე მასზედ მაეალი, გამსუქებელი იმისა,  
შეაში ხაზი აქვს, შემდგენი ორისგან ერთის სიტყვისა;  
მოელად ყველასი დედაა, უსულო—სულიერისა.

შემ



შე



### მ-ვ ს-ე მ-ო ც ა ნ ე ბ ი ს ა ს ს ნ ა

- 1) ბაზი, 2) ლილ-მარტეა, 3) სასწორი. 4) წისქვილის ქვები და ხორბალი.  
ზოგ: ბეჭი და მწვალე

სამათებატიკო გამოცანა: 1) პირელს ჰქონია 5 კვერცხი,  
მეორეს—7 1/2, 3-ეს ჰქონდა 12 კ.—პირელ მათხოვარს მისცა  $6\frac{1}{2}$  კ.,  
მეორეს—3 კ., მესამეს— $2\frac{1}{2}$  კ., 3) მტრედი იყო 4 და სე სამი.

გამოცანა-ს უმრთება: აბაზიანი ბოთლი ღვინო ელირება აბაზათ.

სამი ჩხირი რომ მოვაშოროთ დარჩება შემდეგი ნახატი:


შარადა: დედა-ენა.

რებუსი: თევზი წყალში არ დაფასდება.

შარადა და ორი სამათებატიკო გამოცანა ახსნა ფო-  
თის სამოქალაქო სკოლის მოწაფემ გაბრიელ ფირალოვმა და  
სამათებატიკო გამოცანები ახსნა ქუთაისის გიმნაზიის IV კლასის მო-  
წაფემ გიორგი ჯაყელმა.

— «ქართულ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელის. შე» —



1892 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილის ში

გამოვა, თუ თვეში ერთხელ, საემაწეოდა სურათებიანი

ქ უ რ ნ ა ლ ი

## ჯერილი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ათხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯერილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბაეშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ეურნალში მონაწილეობის მიღება აღვითქვეს ჰყელა ჩენება საუკეთესო მწერლებმა.

## ე გ ე რ ა ა ხ

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის,

მ ი ჟ მ ა რ თ თ ხ

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცეის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21, ბ) „ქართველთა-მორის წერა-კითხების გამარტინულებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-ზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდევის  
აღრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРИЯ“.**

გაზეთი წლით ღირს 10 მან., ნახევარ წლით — 6 მანათი.